ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ვერსია“

ვერსია

№27 (1717) 28 აგვისტო — 3 სექტემბერი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რისთვის მიუსაჯეს ექვსწლიანი პატიმრობა ლოთ დამლაგებელს

რადიატორზე დაბმული ბანკის თანამშრომელი – უცნაური შურისძიების დეტალები

ბიძინა ივანიშვილი: „ერთ მხარეს დგას „ქართული ოცნება“, რომელიც ქვეყნის გადარჩენას, განვითარებასა და მშვიდობის უზრუნველყოფაზე ფიქრობს, მეორე მხარეს კი „კოლექტიური ნაცმოძრაობა“, რომელიც სახელმწიფოს მტრობს და უცხოურ ინტერესებს ემსახურება“

მმართველი პარტია წინასაარჩევნო შეხვედრებს განაგრძობს. რამდენიმე დღის წინ, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, სიტყვით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე, ამბროლაურში გამოვიდა

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ცნობილი მოსამართლე სახლში გარდაცვლილი იპოვეს

კატის ფოტოთი გახსნილი დანაშაული

ფინანსური დარღვევები თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები, რომლებიც უწყებამ პროკურატურაში გადააგზავნა

სამეგრელოს პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული მ.კ. დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მარტვილის მუნიციპალიტეტში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მეზობლად მცხოვრები, 1964 წელს დაბადებული ჯ.კ. სანადირო თოფიდან გასროლით დაჭრა. მიღებული დაზიანებების გამო, ჯ.კ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რაჭაში ახალგაზრდულ ბანაკს ესტუმრა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე რაჭაში, შაორის ახალგაზრდულ ბანაკს

ესტუმრა და ახალგაზრდებთან საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრა გამართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები. შეხვედრის მიზანია, მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ასამდე ახალგაზრდას ინფორმაცია მიაწოდეს მართლწესრიგთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და აქტუალურ სხვადასხვა თემაზე, მათ შორის, ტრეფიკინგის, დისკრიმინაციის, ქალთა და ოჯახური ძალადობის, სამართალდამცავ უწყებასთან დროული თანამშრომლობის მნიშვნელობასა და დანაშაულის პრევენციის შესახებ. ასევე, ახალგაზრდებს ინფორმაცია მიეწოდათ კრიმინალური პოლიციის რეფორმისა და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სისტემის თაობაზე. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საგზაო მოძრაობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე.

ახალგაზრდული ბანაკი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ფუნქციონირებს. დამსწრე პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ კომპეტენტური პირებისგან მიეღოთ პასუხი დასმულ შეკითხვებზე.

პოლიციამ ფონიჭალაში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ამავე დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოსა და დეტექტივების მთავარი სამმართველოების თანამშრომლებთან ერთად, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2005 წელს დაბადებული ლ.ტ., ორი პირის მიმართ ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 9-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 24 აგვისტოს, თბილისში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ კორპუსში ორ პირს – 1997 წელს დაბადებულ დ.შ.-ს და 1972 წელს დაბადებულ მ.ზ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდათ.

სამართალდამცველებმა ლ.ტ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე, ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ორი პირის მიმართ ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიდი ოდენობით ქურდობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ქურდობის ბრალდებით, უკრაინის მოქალაქე – 1989 წელს დაბადებული რ.პ. დააკავეს.

დანაშაული 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 17 აგვისტოს, ბრალდებულმა, თბილისში, სხვადასხვა ქუჩაზე განთავსებულ კრიპტომატში, ლამინირებული 100-ლარიანი კუპიურის გამოყენებით, საკუთარ კრიპტოვალუტის საფულეზე – ჯამში 30 900 ლარის ჩარიცხვა განახორციელა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ბრალდებულს სპეციალური ნიღაბი და ხელთათმანები ეკეთა, რათა მისი იდენტიფიცირება ვერ მომხდარიყო.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რ.პ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული კრიპტოვალუტა სრულად ამოიღო, ასევე, ნივთმტკიცებად ამოღებულია ნიღაბი და ხელთათმანი.

გამოძიება დიდი ოდენობით ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ძებნილი პირი – 1963 წელს დაბადებული გ.კ. დააკავეს.

გ.კ. 2004 წელს, თბილისში, ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის იძებნებოდა.

სამართალდამცველებმა გ.კ. სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის სამსახურის – „დარიალი“ ტერიტორიაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც ის სხვა გვარის გამოყენებით, საქართველოს სახელწიფო საზღვრის გადმოკვეთას ცდილობდა.

დაკავებული გ. კ. გადაყვანილია პენიტენციურ დაწესებულებაში.

ბიძინა ივანიშვილი: „ერთ მხარეს დგას „ქართული ოცნება“, რომელიც ქვეყნის გადარჩენას, განვითარებასა და მშვიდობის უზრუნველყოფაზე ფიქრობს, მეორე მხარეს კი „კოლექტიური ნაცმოძრაობა“, რომელიც სახელმწიფოს მტრობს და უცხოურ ინტერესებს ემსახურება“

მმართველი პარტია წინასაარჩევნო შეხვედრებს განაგრძობს. რამდენიმე დღის წინ, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, სიტყვით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე, ამბროლაურში გამოვიდა

„მოგესალმებით, ჩემო ქართველებო, მოგესალმებით, რაჭველებო, ლეჩხუმელებო, სვანებო!

შეუძლებელია კავკასიონის ამაყად მდგარ თვალუწვდენელ მწვერვალებს უცქერდე და არ გაღელვებდეს იმაზე ფიქრი, ღმერთისგან ნაბოძები ეს საჩუქარი რამდენი ჭირისა და ლხინის, საგმირო ისტორიის მომსწრე ყოფილა. მიუხედავად ბევრჯერ თავს დამტყდარი უბედურებისა თუ გაჭირვებისა, ბუნებრივი კატაკლიზმებისა თუ მტრის შემოსევებისა, რაჭველებმა, ლეჩხუმელებმა და სვანებმა სათუთად, ხელუხლებლად შემოგვინახეს თითოეული ამ კუთხისთვის დამახასიათებელი ტრადიციები, კულტურა, თუ ადათ-წესები.

ქართველების ერთ-ერთი სიძლიერეც ხომ სწორედ ეს არის – მამულის, ენისა და სარწმუნოების გარშემო გაერთიანებული ხალხი, რომელიც ამავდროულად იმდენად მრავალფეროვანია, რომ რაჭულ სიდინჯესა და შრომისმოყვარეობას, სვანურ სიმამაცესა და სამართლიანობას, ლეჩხუმურ სტუმართმოყვარეობას და მიზანდასახულობას, სრულიად განსხვავებულ, მაგრამ მაინც ერთმანეთზე გადაჯაჭვულ უამრავ ლამაზ ტრადიციას იტევს. სწორედ საკუთარი კუთხის სიყვარულმა და თავგანწირვის უნარმა შემოგვინახა რაჭაც, ლეჩხუმიცა და სვანეთიც, ჩვენ კი არ გვაქვს უფლება, წინაპრების დაწყებული საქმე არ გავაგრძელოთ, არ მოვუფრთხილდეთ და არ ვიზრუნოთ მათ დანატოვარზე.

როდესაც 12 წლის წინ, 2012 წლის 27 აგვისტოს, აქ, ამ ადგილზე პირველად შეგხვდით, იმ პრობლემებსა და გაუსაძლის პირობებზე ვსაუბრობდით, რომელიც წინა ხელისუფლების დანაშაულებრივმა პოლიტიკამ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობას შეუქმნა. ყველაზე უკეთ თქვენ გახსოვთ, როგორ იფლანგებოდა ის უდიდესი პოტენციალი, რომელიც აქაურობას გააჩნია. სამკურნალო წყლებით, უნიკალური ჯიშის მცენარეებით, მსოფლიოში გამორჩეული ვაზის ჯიშებით განთქმული და მდიდარი კუთხეები, უდიდესი ტურისტული პოტენციალის მატარებელი მხარეები როგორ ნადგურდებოდა, აქაურობას როგორ იყენებდა პირადი სარგებლისა და ინტერესებისთვის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებული ვიწრო ჯგუფი, მოსახლეობას კი ერთადერთ გამოსავლად საკუთარი სახლ-კარის, მიწის დატოვება და სხვაგან გადასახლება ესახებოდა.

მე მაშინ დაგპირდით, რომ ჩვენი ხელისუფლება აქაურობას ახალ სიცოცხლეს შესძენდა, საკანონმდებლო დონეზე დაარეგულირებდა მაღალმთიანი რეგიონის სტატუსსა და მისგან მიღებულ შეღავათებს, მოაწესრიგებდა ინფრასტრუქტურას, შიდა თუ მაგისტრალურ გზებს და განსაკუთრებით შეუწყობდა ხელს იმ ინვესტორებს, რომლებიც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის განვითარებაში მონაწილეობის მიღების სურვილს გამოთქვამდნენ. თქვენ ყველაზე უკეთ იცით, 2012 წელთან შედარებით, დღეს რამდენჯერ მეტი ინვესტიცია იდება რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, ჩვენი ხელისუფლების მიერ მიღებულმა კანონმა მაღალმთიანი რეგიონების სტატუსის შესახებ, რამდენ ადგილობრივს ააღებინა ხელი საკუთარი საცხოვრებლის დატოვებაზე ფიქრისგან. როგორ მოწესრიგდა, რა მნიშვნელობისა და რაოდენობის გზა გაკეთდა, რამაც პირდაპირ შეუწყო ხელი არსებული ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის ათვისებას.

საკუთარი თვალით ხედავთ, რომ მიტოვებულმა სოფლებმა და დაბებმა ახალი სიცოცხლე შეიძინა, გაჩნდა შესაძლებლობა, გამორჩეული კურორტები ყოველნაირი თანამედროვე სტანდარტის დაცვით ისე გაშენდეს, რომ ადგილობრივ უნიკალურ ეკოსისტემას არანაირი პრობლემა არ შეექმნას. 12 წლის წინანდელი პერიოდისგან განსხვავებით, დღეს ბევრად დიდი ფასი აქვს მსოფლიოში აღიარებულ „ხვანჭკარას“, უნიკალურ „მუჯურეთულსა“ თუ „ალექსანდროულს“ და მათგან დამზადებულ ღვინოს. ეს, დიდწილად, სწორედ იმ სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამებისა და ჩვენი სწორი პოლიტიკის დამსახურებაა, რომლებმაც, პირველ რიგში, ადგილობრივების კეთილდღეობის ზრდა განაპირობეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი: „ერთ მხარეს დგას „ქართული ოცნება“, რომელიც ქვეყნის გადარჩენას, განვითარებასა და მშვიდობის უზრუნველყოფაზე ფიქრობს, მეორე მხარეს კი „კოლექტიური ნაცმოძრაობა“, რომელიც სახელმწიფოს მტრობს და უცხოურ ინტერესებს ემსახურება“

მე-3 გვერდიდან

განვლილმა წლებმა გამოაჩინა, რომ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში განვითარების კიდევ ძალიან დიდი შესაძლებლობაა, უკვე განხორციელებულმა საქმემ კი დაგვანახა, რომ ხალხის, სახელმწიფოსა და კერძო ინტერესების სწორი ურთიერთქმედების შემთხვევაში, ისეთი შედეგების მიღწევა სრულიად რეალურია, როდესაც ხალხიც, ხელისუფლებაც და ინვესტორიც კმაყოფილია!

მომდევნო ოთხი წლის მანძილზე, ჩვენ აუცილებლად განვაგრძობთ დაწყებულ საქმეს. შევქმნით ყველა პირობას, რომ ადგილობრივებმა მაქსიმალურად აითვისონ ამ უნიკალურ მხარეში არსებული პოტენციალი. მოვიზიდავთ კიდევ უფრო მეტ ინვესტიციას და განვახორციელებთ კიდევ უფრო დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ამისთვის უმნიშვნელოვანესია, 26 ოქტომბრის არჩევნებში, „ქართულმა ოცნებამ“, თქვენთან ერთად, კიდევ დაამარცხოს „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“, შესაბამისად, გაანეიტრალოს მათგან და მათი პატრონებისგან მომდინარე საფრთხეები.

12 წლის წინანდელი პერიოდის მსგავსად უნდა გავაკეთოთ ისტორიული არჩევანი, გადავარჩინოთ და სამშვიდობოს გავიყვანოთ ჩვენი ქვეყანა, შემდეგ კი, 2012 წელს დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და ეროვნული ღირსების შენარჩუნებით გავხდეთ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. ამის პასუხად, ქართულ რადიკალურ ოპოზიციაში უხვად გაბნეული უცხოეთის აგენტები სულმოუთქმელად ელიან ნებისმიერ შესაძლებლობას, იქნებ, როგორმე ძალაუფლება დაიბრუნონ, რაც საქართველოს ომში ჩართვას, ეკონომიკურ სიდუხჭირესა და შიმშილს, კიდევ მეტ დაკარგულ სიცოცხლესა და დამატებით ოკუპირებულ ტერიტორიებს ნიშნავს.

როდესაც რაჭაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია დავივიწყოთ ერთი წლის წინ, აქ დატრიალებული ტრაგედია. 2023 წლის 3 აგვისტო მოუშუშებელ იარად დაგვრჩება. სტიქიამ, რომელიც შოვს დაატყდა თავს, ადამიანების, მათ შორის, ბავშვების სიცოცხლე იმსხვერპლა. ასეთ დროს, განსაკუთრებით ვიაზრებთ რამხელა მნიშვნელობა აქვს ერთიანობას – როდესაც მთელი ქვეყანა ერთად დგას, ხალხი სიტყვის თქმის გარეშე ამხნევებს ერთმანეთს და თავს დამტყდარ ტრაგედიას ისე ღირსეულად გლოვობს, როგორც მხოლოდ ქართველს შეუძლია. სამწუხაროდ, ისევ მიწევს „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ ხსენება, რომელმაც კიდევ ერთხელ აჩვენა საკუთარი სახე და ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გააზრებულიც არ გვქონდა, რა მოხდა ჩვენს თავს, პოლიტიკურ ინტერესებზე ფიქრი და ბუნებრივ სტიქიაში ხელისუფლების ბრალეულობის ძებნა დაიწყო. ეს ხალხი ნებისმიერი საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღმა რჩება, ისინი დაპირისპირებითა და საზოგადოების დაქსაქსვით საზრდოობენ, ასეთ დროს კი მათთან ერთიანობასა და ქვეყნის ინტერესებზე საუბრის ნებისმიერი მცდელობა ფუჭია.

წინა წლებისგან განსხვავებით, რეგიონში არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, კონკრეტულ გლობალურ ძალებსა და ჩვენს ქვეყანაში არსებულ მათ აგენტურას ვა-ბანკზე წასვლა აიძულა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ძალაუფლების დაბრუნება ყოველნაირი გზებით სცადეს, თუმცა საწადელს ვერ მიაღწიეს. შედეგად კი ის მიიღეს, რომ ნიღაბი საბოლოოდ მოიხსნეს და ქართველი ხალხის წინაშე, რეალური სახით გამოჩნდნენ. უცხო ძალების აგენტურით დაკომპლექტებული „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“ ვეღარ ახერხებს ქართველ ხალხს თავს მოახვიოს სიცრუე, ამიტომ არჩევანი მარტივი გასაკეთებელია – დღეს ერთ მხარეს დგას მშვიდობა, კეთილდღეობა და ღირსება, მეორე მხარეს კი ომი, გაჭირვება და მონური მორჩილება.

ქართველი კაცის გონიერება მაძლევს იმის თქმის სითამამეს, რომ 26 ოქტომბრის ერთგვარ რეფერენდუმზე, საქართველოში ეროვნული სუვერენიტეტის იდეა და ტრადიციული ღირებულებები გაიმარჯვებს, თუმცა იმისთვის, რომ გრძელვადიანი მშვიდობა და უსაფრთხოება იყოს გარანტირებული, საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვება გვჭირდება. როდესაც საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხარდაჭერას მოველით, ვალდებულები ვართ, დეტალურად განვმარტოთ, რისთვის გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა და როგორ წაადგება ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს:

პირველი და მთავარი შეიძლება იყოს – საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება, რაც ქართული პოლიტიკიდან „ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოშორების გარეშე, შეუძლებელი იქნება. როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობას მოვიპოვებთ, ჩვენთვის ეს იქნება საზოგადოების დაკვეთა, რომ სამართლებრივი შეფასება მიეცეს ჩვენი ქვეყნის მტრების დანაშაულებრივ ქმედებებს, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებს. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ არჩევნების დასრულებისა და ქართველი ხალხისგან მაღალი ლეგიტიმაციის მოპოვების შემდეგ დაიწყება პროცესი, რომელიც დასრულდება დამნაშავეების გასამართლებით და მკაცრად დასჯით!

მუდმივ ტერორში, თავსმოხვეულ დაპირისპირებასა და გამოგონილ პრობლემებში ცხოვრება ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავამთავროთ – ამის გარეშე, გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილური განვითარების მიღწევა შეუძლებელი იქნება! სამწუხაროდ, მთელი ამ წლების მანძილზე, ქვეყანაში სრულფასოვანი არჩევნები არ ჩატარებულა, რადგანაც ჯანსაღ პოლიტიკურ სისტემაში არჩევანი კარგსა და უკეთეს შორის არსებობს. ჩვენს ქვეყანაში კი ერთ მხარეს დგას „ქართული ოცნება“, რომელიც ქვეყნის გადარჩენაზე, განვითარებასა და მშვიდობის უზრუნველყოფაზე ფიქრობს, მეორე მხარეს კი კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა, რომელიც სახელმწიფოს მტრობს და უცხოურ ინტერესებს ემსახურება.

12 წლის მანძილზე, საკუთარი თვალით ვუყურებთ გამოგონილი მიზეზებით, ხელოვნურად თავსმოხვეული პოლიტიკური კრიზისებით, ტრაგედიებით, მანიპულირებითა და სიცრუის პროპაგანდით, რამდენჯერ ჰქონდათ გადატრიალების მცდელობა! მათი გეგმა ერთხელაც ვერ განხორციელდა და ხელისუფლება უცხოური ძალების აგენტურამ ვერ დაიბრუნა, თუ-

დასასრული მე-5 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი: „ერთ მხარეს დგას „ქართული ოცნება“, რომელიც ქვეყნის გადარჩენას, განვითარებასა და მშვიდობის უზრუნველყოფაზე ფიქრობს, მეორე მხარეს კი „კოლექტიური ნაცმოძრაობა“, რომელიც სახელმწიფოს მტრობს და უცხოურ ინტერესებს ემსახურება“

მე-4 გვერდიდან

მცა კარგად გამოჩნდა, რამხელა რისკები ახლავს და რა შეიძლება მოჰყვეს თავსმოხვეულ პოლარიზაციას. „ქართული ოცნება“ ქართველმა ხალხმა უკვე სამი ვადით აირჩია, ჯანსაღ პოლიტიკურ სისტემაში კი პოლიტიკური ძალები გარკვეული პერიოდულობით უნდა ანაცვლებდნენ ერთმანეთს. ეს დღევანდელ ვითარებაში შეუძლებელია! ამის შესაძლებლობა მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდება, როდესაც „კოლექტიურ ნაცმოძრაობას“ ჯანსაღი ოპოზიციური ძალები ჩაანაცვლებენ და ჩვენს გუნდს ღირსეული კონკურენტი გამოუჩნდება.

მეორე – საქართველოს პარლამენტში უკვე ინიცირებულია კონსტიტუციური კანონპროექტი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რომელსაც ისევე, როგორც ყველაფერს ქართული ინტერესებისთვის სასარგებლოს, „კოლექტიური ნაცმოძრაობა“ ეწინააღმდეგება. აქაური აგენტურა დიდი ენთუზიაზმით იცავს და ავრცელებს ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიას, რომლის მიზანიც ყოველგვარი ტრადიციული ფასეულობების მოშლა, ადამიანების ღირსებისგან თუ მორალისგან სრული დაცლა და ყველაზე დაბალი რანგის მონებისგან შემდგარი, ერთი ფსიქოლოგიის მქონე მასის შექმნაა. თუმცა, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთანავე, ჩვენ აუცილებლად შევასრულებთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის დაკვეთას – ოჯახურ ღირებულებებსა და არასრულწლოვანთა ინტერესებს განსაკუთრებით მოვუფრთხილდებით და კონსტიტუციის დონეზე დავიცავთ!

მესამე – ჩვენი, ქართველების ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. განვლილმა რამდენიმე წელიწადმა თვალსაჩინო გახადა, რომ რეგიონში მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება. შესაბამისად, შესაძლებლობის გაჩენისა და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენისათვის, ნებისმიერ დროს უნდა ვიყოთ მზად. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელი გახდება ჩვენი ქვეყნის მმართველობის სისტემა და სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ახალ რეალობასთან მოვიდეს კორელაციაში, რისი ერთადერთი გზაც კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელებაა. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგენტურით გაჯერებული ოპოზიცია ამჯერადაც უარს იტყვის საქართველოს ინტერესების გატარებაზე, გააგრძელებს გარე დავალებების შესრულებას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის აუცილებელ ცვლილებებს წინ აღუდგება. სწორედ ამიტომ გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რათა საჭიროების შემთხვევაში, საკონსტიტუციო ცვლილებებს წინ ვერავინ აღუდგეს.

და მეოთხე – როგორც პოლიტიკური საბჭოს მიერ გავრცელებულ წერილში, ასევე მცხეთაში, ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე, რომ არის კიდევ ერთი, ჩვენი ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის თაობაზეც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და უახლოეს პერიოდში, საზოგადოებას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების თაობაზე ვაცნობებთ.

გრძელვადიანი მშვიდობის დასამყარებლად ჩამოთვლილი პუნქტების სისრულეში მოყვანა უმნიშვნელოვანესია, თუმცა ამ მოცემულობაში, უმთავრესი გამოწვევა ჩვენი დღევანდელობაა. ქვეყნის ომის ქარცეცხლში გახვევის მოსურნეები, შიდა თუ გარე მტრები, ჩასაფრებულები ელოდებიან უმცირეს შანსსაც კი, რომ როგორმე ეროვნული ხელისუფლება აგენტურით შეცვალონ, რაც პირდაპირ ნიშნავს საქართველოში ბომბების წვიმას და ქვეყნის განადგურებას. იოტისოდენა შეცდომის დაშვების უფლებაც არ გვაქვს – ხალხის მიერ, „ქართული ოცნებისთვის“ მიცემული თითოეული ხმა, თითოეული მანდატი არის მშვიდობის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი. თქვენთან ერთად, ფხიზლად უნდა გადავაგოროთ რამდენიმე თვეც და ომის დასრულებისთანავე, ჩვენი ქვეყნის მიმართ არსებული არაჯანსაღი ინტერესები საპირისპირო დამოკიდებულებით შეიცვლება. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყანა და ხალხი არანაკლებად სჭირდებათ მეგობრად ჩვენს პარტნიორებს, ვიდრე ჩვენ გვჭირდებიან ისინი. რეგიონში მდგომარეობის დასტაბილურებისთანავე, ორმხრივი ინტერესების დროს, საქართველოს ძლიერ ხელისუფლებასთან მეგობრობა ყველასთვის პრიორიტეტული და საჭირო იქნება. სწორედ ამიტომ გვჭირდება მაქსიმალური ლეგიტიმაცია. იმდენად დამაჯერებლად უნდა გავიმარჯვოთ, რომ არავის გაუჩნდეს ცდუნება, ქვეყნის არჩეულ ხელისუფლებას ხელოვნურად შეუქმნას პრობლემები.

საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება და ჩამოთვლილი საკითხების მოგვარება ჩვენს ქვეყანას გრძელვადიანი სტაბილურობისა და მშვიდობიანი განვითარების რელსებზე დააყენებს. ამიტომაც, ჩემო რაჭველებო, ლეჩხუმელებო და სვანებო, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მშვიდობა, კეთილდღეობა და ეროვნული ღირსების შენარჩუნება, 26 ოქტომბერს გავიდეთ არჩევნებზე და გადამწყვეტი ნაბიჯი გადავდგათ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მომავლისთვის.

მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ.

26 ოქტომბერს, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ და ერთად გავაგრძელებთ „ქართული ოცნების“ ახდენას“.

თამბაქოს კონტროლის ალიანსი – მონიტორინგის ინსპექტირება რეგულარული და მოულოდნელი უნდა გახდეს

მაკა რუხაძე

საქართველოში თამბაქოს კონტროლის კანონის აღსრულება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, – მიაჩნიათ თამბაქოს კონტროლის ალიანსში. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ყოველთვიურად მიმდინარე მონიტორინგის შედეგად, ფიქსირდება დარღვევები, როგორც მოხმარების (დახურულ სივრცეში „ჩილიმის“ და ელექტრონული, ან გასახურებელი თამბაქოს მოხმარება), ისე ვაჭრობისა და რეკლამის კუთხით.

ვინ და რატომ არღვევს თამბაქოს კონტროლის კანონს ქვეყანაში

ბოლო დროს, კვლავ თვალსაჩინო გახდნენ ე.წ. „პრომო-გოგონები“, რომლებიც სავაჭრო ქსელებში, მომხმარებლებს კანონის დარღვევით აწვდიან თამბაქოს ნაწარმის შესახებ სარეკლამო ინფორმაციას. ასეთი ქმედება არა მხოლოდ კანონდარღვევაა, საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს.

აღნიშნულ შემთხვევაში, კანონის დარღვევის ფაქტზე გათვალისწინებული ჯარიმა ეხება, როგორც პრომო-გოგონას და მის დამქირავებელს, ასევე სავაჭრო დაწესებულებას, რომელიც მის კუთვნილ ტერიტორიაზე, ან სივრცეში სარეკლამო საქმიანობის წარმოების უფლებას აძლევს თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების შესაბამისად მოქმედ პირს – ე.წ. პრომო-პერსონას.

„მიუხედავად იმისა, რომ საჯარიმო თანხები მოცულობითია (დაახლოებით, 5000 ლარამდე), სამწუხაროდ, ქსელური სავაჭრო მაღაზიები არ ერიდებიან მსგავსი ტიპის კანონდარღვევებს, რადგან დაჯარიმების შეთხვევაში, თამბაქოს ინდუსტრია წინასწარი შეთანხმებისამებრ, უნაზღაურებს ჯარიმის სახით გადახდილ თანხას.

თამბაქოს კონტროლის რეფორმების მიმდინარეობა გვაჩვენებს, რომ კანონის აღსრულებისა და რეფორმული პროცესების გასაუმჯობესებლად, საჭიროა მონიტორინგის გაძლიერება, როგორც ადამიანური, ისე ტექნიკური და ფინანსური რესურსებით, რათა ინსპექტირება რეგულარული და მოულოდნელი გახდეს“, – აცხადებენ თამბაქოს კონტროლის ალიანსში.

ამასთან, ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან, კანონის აღსრულების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მისაწოდებლად, რაც კანონდაღვევის ადგილზე მათ ოპერატიულ ქმედებას განაპირობებს.

„გარდა ამისა, აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ინტენსიური საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში. აუცილებელია სოციალური მედიის აქტიური გამოყენება ინფორმაციის გასავრცელებლად. ცნობილი სახეების ჩართვა კამპანიებში, რაც უნდა ჩატარდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით მოქმედი სახელმწიფო, საკომუნიკაციო პროგრამების ფარგლებში. სამწუხაროდ, როგორც წინა წლების შემთხვევაში, ამჯერადაც, არ დაწყებულა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროექტების მოქმედება. არადა, საშურია სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს ალტერნატიული ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას თამბაქოს გარეშე, ჯანსაღი კვებისა და ფიზიკური აქტივობის წახალისებას“.

ასევე, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებას ახსოვდეს, რომ თამბაქოს კონტროლი არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხია. თამბაქოს კონტროლის კანონის ეფექტური აღსრულება საქართველოში, მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს, როგორც მკაცრ რეგულაციებს, ასევე საზოგადოების აქტიურ ჩართულობას და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებას. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ, შევქმნათ უფრო ჯანსაღი და თამბაქოსგან თავისუფალი გარემო, ჩვენი და მომავალი თაობებისთვის.

ფინანსური დარღვევები თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში

მაკა რუხაძე

„ვერსია“ აგრძელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ ანგარიშების გაცმობას, რომლებიც უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. ამჯერად, თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში, 2020-2021 წლებში გამოვლენილი დარღვევები გავიხსენოთ.



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები, რომლებიც უწყებამ პროკურატურაში გადააგზავნა

დარღვევები თელავში – მშენებლობასა და რეაბილიტაციაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ თელავის მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველჰყო საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 32% და 37% დააკლდა. ამასთან, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.

„გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 1 576 300 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, არ არის მიღწეული სამუშაოების დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

თელავის მუნიციპალიტეტმა დაგეგმა და შეისყიდა ისეთი პროექტები, რომლებიც დაუსრულებელია და ვერ იყენებს. შესაბამისად, ბიუჯეტიდან გაწეულია 1 632 000 ლარის არაეფექტიანი ხარჯი და დასახული მიზანი არ არის მიღწეული“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ თელავის მუნიციპალიტეტმა, ბაგა-ბაღების შენობების რეაბილიტაციაში, 40 900 000 ლარი დახარჯა ისე, რომ სრულად არ გაითვალისწინა ექსპერტების დასკვნა გამაგრებით სამუშაოების აუცილებლობის შესახებ. ექსპერტიზის განმეორებითი დასკვნით, ბაღები კვლავ ავარიულია და ექვემდებარება დემონტაჟს.

„თელავის მუნიციპალიტეტმა 10 000 ლარი დახარჯა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობის რემონტზე. ობიექტი მალევე გასხვისდა და მოსახლეობა ვერ იყენებს. მუნიციპალიტეტმა დაუსაბუთებლად გაზარდა სამუშაოების მიწოდების ვადები, რამაც ხელი შეუწყო ინფრასტრუქტურული პროექტების დაგვიანებით დასრულებას. ამასთან, აღნიშნული ქმედებების შედეგად, მუნიციპალიტეტმა, დაახლოებით, 55 200 ლარის საჯარიმო თანხა ვერ მიიღო“.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ თელავის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე. შედეგად, მუნიციპალიტეტი იბარებდა ხარვეზებით შედგენილ დოკუმენტაციას, რაც გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე, ამასთანავე, აუარესებდა მერიის პირობებს. მუნიციპალიტეტს რამე სახის ღონისძიება საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

ხარვეზები მუნიციპალური სერვისების მიწოდებაში

აუდიტორებმა გამოავლინეს, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია. სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი; მოსახლეობის ნაწილს წყალი მიეწოდება შეფერხებით; წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება; არალიცენზირებული პირი ვერ უზრუნველყოფს წყლის გადასახადის ადმინისტრირებას, რის გამოც საბიუჯეტო სახსრები არაპროდუქტიულად იხარჯება.

„თელავის მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ განსაზღვრა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადები და გარანტორისაგან არ მოითხოვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგარანტიო თანხების ანაზღაურება. შედეგად, ორი შესყიდვის ფარგლებში, შეუსრულებელი ხელშეკრულებების სანაცვლოდ მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო 190 200 ლარის კომპენსაცია.

2020-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სამორიგეო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა სამი-ოთხი ერთეულით აღემატება საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობას“.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ თელავის მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში, საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, 138 700 ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

ხარვეზები ქონების მართვა-განკარგვაში

აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ თელავის მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში არ გადასინჯა წინა წლებში იჯარით გაცემული ქონების საიჯარო ქირა; გარდა ამისა, ქონება იჯარით გასცა პირდაპირი განკარგვის გზით, სათანადო დასაბუთების გარეშე, რითაც დაკარგა მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა; კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, სათანადო რეაგირების გარეშეა დარჩენილი სხვადასხვა პირის მიერ მუნიციპალიტეტის ქონებით არამართლზომიერი სარგებლობის შემთხვევები.

„მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა ხორციელდებოდა ხარვეზებით. კერძოდ, არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება: რიგ შემთხვევაში, თანამშრომლების ფუნქციამოვალეობები ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს არ შეესაბამება. სათანადოდ არ არის დასაბუთებული მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებები იურიდიული პირების შექმნისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში, 130 000 ლარით დააფინანსა მის მიერ დაფუძნებული ააიპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ – ვიზით კახეთი. მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგი და არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას განხორციელებული ღონისძიებებისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობის შესახებ. ამდენად, მუნიციპალიტეტის ჩართულობა დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობაში არასაკმარისი და არაეფექტიანია“.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ თელავის მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, თუ რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული მემორანდუმის ფორმით 40 000 ლარის საფინანსო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. მერია ვალდებული იყო პირველ რიგში გამოეყენებინა საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებისას, მომსახურება შეესყიდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თელავის მერიამ ვერ უზრუნველჰყო საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრულყოფილი ბაზის შექმნა და მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

დარღვევები ახმეტაში – ფინანსური რესურსების მართვა

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველჰყო საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 19% და 17% დააკლდა. ამასთან, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.

„ახმეტის მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 1 546 800 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, სამუშაოების ნაწილზე არ არის

დასასრული მე-8 გვერდზე

ფინანსური დარღვევები თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში

მე-7 გვერდიდან

მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია. ახმეტის მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებისა და ფუნქციონირების, ასევე, შეძენილი აქტივების განკარგვის მხრივ მიმდინარეობდა ხარვეზებით. მერიამ ვერ უზრუნველჰყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა, არაეფექტიანად დახარჯა 212 400 ლარი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს“.

დარღვევები შესყიდვების მართვაში

აუდიტის შედეგადა გაირკვა, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, 168 000 ლარის ღირებულების ობიექტები ჩაბარებულია და ანგარიშსწორება განხორციელებულია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და იწვევს თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.

„შესყიდვის ხელშეკრულებაში შეტანილი დაუსაბუთებელი ცვლილების შედეგად შესასრულებელი სამუშაოები მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც დააზიანა მუნიციპალიტეტის ინტერესები. შედეგად, მერიამ დაკარგა 18 300 ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა. ახმეტის მერიამ არ დაიცვა ხელშეკრულებით მის მიერვე დადგენილი მოთხოვნები და არ გააკონტროლა შემსრულებლის მიერ ავანსის გამოყენების პროცესი. კერძოდ, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება, რომ ავანსის სახით მიღებული თანხა – 379 600 ლარი მიმწოდებელმა გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, რაც ავანსის გაცემის მიზანი იყო“.

ახმეტის მუნიციპალიტეტმა არ დააწესა სათანადო კონტროლი მიმწოდებლების მიერ ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე. მის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნების მიღებას შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. ხარვეზებით ჩაბარებული პროდუქტი გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებზე/სახელშეკრულებო ღირებულებაზე და აუარესებდა მერიის პირობებს.

სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხების ადმინისტრირების პროცესში, მერიამ სათანადოდ არ დაიცვა საკუთარი ინტერესები. ამასთან, დავალიანების მქონე მიმწოდებლების მიმართ არ გაატარა შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები და შედეგად ვერ უზრუნველჰყო 10 400 ლარის დარიცხული პირგასამტეხლოს მიღება.

ხარვეზები ქონების მართვა-განკარგვაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ქონებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, მერია სათანადოდ ვერ იცავს საკუთარ ინტერესებს. კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, რეაგირების გარეშეა დარჩენილი ქონებით არამართლზომიერი სარგებლობის შემთხვევები; ასევე, საიჯარო ქირის განსაზღვრისა და ხელშეკრულებების ადმინისტრირების პროცესში არსებული ხარვეზების შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ იღებს დამატებით შემოსავლებს.

„ახმეტის მუნიციპალიტეტში, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის, ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა ხორციელდებოდა ხარვეზებით. კერძოდ, არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება: რიგ შემთხვევაში თანამშრომლების ფუნქციამოვალეობები ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს არ შეესაბამება; გამოვლინდა კანონშეუსაბამოდ თანამშრომელთა რამდენიმე ორგანიზაციაში დასაქმების შემთხვევები; სათანადოდ არ არის დასაბუთებული მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებები იურიდიული პირების შექმნისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით“.

ახმეტის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლის მექანიზმები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის განვითარებასა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას. მერია არ ფლობს ინფორმაციას ორგანიზაციისათვის გადაცემული ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობის შესახებ. ამდენად, მუნიციპალიტეტის ჩართულობა მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობაში არასაკმარისი და არაეფექტიანია.

„გარდა ამისა, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ახმეტის მუნიციპალიტეტმა დახარჯა 66 000 ლარი. მერია პრაქტიკულად არ ატარებდა მემორანდუმით გათვალისწინებულ მონიტორინგს პროგრამით დაგეგმილი ამოცანების შესრულებასა და დახარჯული თანხების მიზნობრიობაზე. შესაბამისად, არ არის შესწავლილი გაწეული ხარჯის ეფექტიანობა და ღონისძიებების შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან“.

ახმეტის მუნიციპალიტეტმა, 2020-2021 წლებში, საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, 123 100 ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

ხარვეზები მმართველობით გადაწყვეტილებებში

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველჰყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა, მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ფარგლებში, რამაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯები გამოიწვია.

„ახმეტის მერია ვერ უზრუნველჰყოფს საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირებას, რაც უარყოფითად აისახება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე. გარდა ამისა, შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუფასებია, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს; რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება; დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვა“.

მეტიც, აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სამსახურის საქმიანობა საკმარისად ვერ უზრუნველჰყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას, არსებული საყურადღებო რისკების გამოვლენას, მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

სამართალი

№27 28 აგვისტო 2024 წ

ცნობილი მოსამართლე სახლში გარდაცვლილი იპოვეს

კატის ფოტოთი გახსნილი დანაშაული

ბათო ჯაფარიძე

წესითა და რიგით, ემირ კუსტურიცას ფილმი „თეთრი კატა, შავი კატა“ ყველას უნდა გქონდეთ ნანახი და თუ არ გინახავთ, ნახეთ, კარგად გაერთობით. ზოგადად, კუსტურიცა არ არის ცუდი რეჟისორი და არ აქვს ცუდი ფილმეები... ჰოდა, სწორედ კუსტურიცა გაახსენდათ გამომძიებლებს ერთ-ერთი საქმის გამოძიების დროს, როცა საქმე ვიღაცას კი არა, ყოფილ მოსამართლეს ეხებოდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო – ყოფილი მოსამართლე, რომელიც 80 წელს იყო გადაცილებული და შესაბამისად, აღარ მუშაობდა, გარდაცვლილი იპოვეს. მიზეზი გულის შეტევა იყო, მაგრამ მეზობელმა არ მოისვენა, გინდა თუ არა, ჩემი დაქალი მოკლეს და საქმე გამოიძიეთო. არადა, ექსპერტიზა ბუნებრივ სიკვდილზე თავს დებდა, გამორიცხულია, ვინმეს მოეკლა და ვერ მივმხვდარიყავითო, თანაც 21-ე საუკუნეს ჰქონდა ახალი შემობიჯებული და ასე თუ ისე, საქართველოში ექსპერტიზის მხრივ, აღჭურვილობა ცუდი არ იყო.

„თქვენ ვერ ხვდებით, ხომ, რას ვამბობ? ჩემს დაქალს ერთი შავი კატა ჰყავდა, ყველაზე და ყველაფერზე მეტად უყვარდა. უბრალოდ, ბოლო ორი თვის განმავლობაში, ვერ ასეირნებდა, სიარული უჭირდა და ამიტომ, კარს უღებდა და კატა თავისით მიდიოდა სასეირნოდ, თუმცა მალევე ბრუნდებოდა საყვარელ პაატრონთან. ჰოდა, სიკვდილამდე სამი დღით ადრე, ეს კატა რომ გაუშვა, აღარ დაბრუნებულა და საღამოს, კარზე დაუკაკუნეს. კარის წინ არავინ იდგა, მხოლოდ მუყაოს ყუთი იდო, იმ ყუთში კი, გაგუდული შავი კატა. მაშინ გონება დაკარგა, მე ვიპოვე, ძლივს მოვასულიერე, მერე მთხოვა და კატა დავამარხინე, აგერ, ჩვენი კორპუსის უკან. ისიც მითხრა, წერილი იდო ყუთში, ორი სიტყვა ეწერა „თეთრი კატა, შავი კატა“ და ვერ ვხვდები, რას ნიშნავსო. ამის მერე, სულ ნერვიულობდა და გულიც ამიტომ გაუსკდა“, – დაასრულა მოყოლა დაქალმა.

მოკლული კატის შესახებ სამართალდამცავებმა არაფერი იცოდნენ, ან საიდან უნდა სცოდნოდათ, როცა საჩივარი არავის შეუტანია. სამაგიეროდ, მათ ისიც გაიგეს, რომ გარდაცვლილ მოსამართლეს ქალიშვილი და შვილიშვილი დარჩა, გოგონა, რომელიც სტუდენტი იყო და ბებიასთან ურთიერთობა იშვიათად ჰქონდა.

„არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემს დაქალს არც შვილთან და არც შვილიშვილთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა. ისინი სამ-ოთხ თვეში ერთხელ თუ გამოჩნდებოდნენ, უფრო ზუსტად კი, შვილიშვილი მოდიოდა, თორემ შვილი რამდენიმე წელია არ მინახავს. ქმარი ვინ ჰყავდა, არ ვიცი, არასდროს უსაუბრია ამ თემაზე. ბოლოს, როცა შვილიშვილი იყო მოსული, ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი ახლდა, მაგრამ არ ვიცი, ვინ არის, ან რა უნდოდათ, მოვიდნენ და დაახლოებით, 10-15 წუთში წავიდნენ და მას შემდეგ აღარ მინახავს“, – განაცხადა გარდაცვლილის დაქალმა.

სამართალდამცავები ჩაფიქრდნეენ – იქნებ, კატა შვილიშვილმა, ან შვილმა მოკლა, ან მოაკვლევინა იმისთვის, რომ ხანში შესულ ქალს გულზე პრობლემები შექმნოდა და მერე ბინაც მარტივი „დასათრევი“ იქნებოდა. ბინა კი ქალაქის ცენტრში გახლდათ და საკმაოდ დიდი თანხა ღირდა. ამიტომ, საჭირო იყო, შვილიშვილი და შვილი დაეკითხათ, მით უმეტეს, რომ მათ, შესაბამისად, ბებიისა და დედის გარდაცვალების შესახებ უბრალოდ არ იცოდნენ. როცა ძალოვნებმა შვილი ნახეს და უთხრეს, რომ დედა გარდაიცვალა, მას წარბიც არ ატოკებია, ძალიან მშვიდად მიიღო ყველაფერი და ერთადერთი სიტყვა თქვა – „გასაგებია!“ სამაგიეროდ, შვილიშვილმა წამოყარა ცრემლები, ჩემი საყვარელი ბებოო და თავში ხელი შემოირტყა, ნეტავ, კატა როგორ არის, ძალიან უყვარდა და ახლა მასზე მე უნდა ვიზრუნოო. გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს, ასე სახელდახელოდ ვერ მოიტყუებოდა ახალგაზრდა გოგო, მაგრამ მაინც ჰკითხეს, ბოლოს ბებოსთან როცა იყავი და ახალგაზრდა ბიჭი გახლდა, ვინ იყოო?

„ეგ ჩემი საქმროა. ყველაფერი გადაწყვეტილი გვაქვს, დედაჩემს გავაცანი და მინდოდა, ბებოსაც გაეცნო. მალე წამოვედით, კი თქვა, რაღაც შეუძლოდ ვარო და რეალურად, ხშირად არ ვაწუხებდი“, – დაამატა გოგონამ.

სამართალდამცავებმა კატის ამოთხრა და ექსპერტიზის ჩატარება გადაწყვიტეს. ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ კატა მოკლული იყო, უფრო კონკრეტულად კი, ის კისერში გადატეხეს და ასეთი რამ დაცემით ვერ მოხდებოდა, ეს შეგნებულად და საკმაოდ ძლიერი ხელებით არის გაკეთებულიო. რაც მთავარია, ექიმმა კატის ბრჭყალებში კანის ნიმუშები იპოვა, თუმცა ის მიწას ჰქონდა გაფუჭებული და რამეს დადგენა შეუძლებელი იყო, მაგრამ ექსპერტი დაზუსტებით ამბობდა, ვისაც ეს კატა დაპორჭყნიდა, მას იარა ორი კვირა მაინც ექნება, არ შეუხორცდებაო. ჰოდა, გამომძიებლებს ახლა გარდაცვლილის გარემოცვაში ისეთი ადამიანი უნდა მოეძებნათ, რომელსაც ხელები დაკაწრული ექნებოდა.

„იცით, რას ვფიქრობ? მგონია, რომ კატა ჩვენმა მეზობელმა მოკლა, იმ ბებერმა კუდიანმა, რომელიც ვერ იტანდა ვერც კატას და ვერც ჩემს დაქალს. ასე ამბობდა, შავ კატას უბედურება მოაქვს და ვინ იცის, ამ მოსამართლეს რამდენი ოჯახისთვის აქვს უბედურება მოტანილიო. ჰოდა, იმ ქალს, ბოლო დღეებიაა, ხელებზე გრძელი ხელთათმანები აცვია, მკლავამდე, აი, ისეთები, ოპერაში რომ იცვამენ ხოლმე, საღამოს კაბებზე“, – ეს ინფორმაციაც ძალოვნებს გარდაცვლილის მეგობარმა მიაწოდა.

მეზობლის ქალი მალევე იპოვეს და დარწმუნდნენ, რომ მას მართლაც ხელთათმანები ეკეთა. ძალოვნებმა ხელთათმანების მოხსნა ზრდილობიანად სთხოვეს, რაზეც კატეგორიული უარი მიიღეს, აქაოდა, ჩემს ხელებს თქვენ ვინ გკითხავთო, მაგრამ როცა მიზეზი აუხსნეს, მაშინვე მოიხსნა – ცხელი წყალი გადამესხა, დამეწვა, ცუდი შესახედია და ხელთათმანებიც ამიტომ მაცვიაო. ყოველი შემთხვევისთვის, ქალის ხელები ექსპერტს ანახეს და მან დაზუსტებით თქვა, კატის ნაკაწრის კვალიც კი არ არისო. იმის მიუხედავად, რომ ოჯახის წევრები არ ჩიოდნენ, დაქალი არ ისვენებდა, განცხადებაც დაწერილი ჰქონდა და თან ძალოვნებსაც ზემოდან ეუბნებოდნენ, ჩვენი ყოფილი კოლეგაა, მოსამართლე იყო და მისმა გარდაცვალებამ კითხვა არ უნდა გამოიწვიოსო. ყოველი შემთხვევისთვის, გამომძიებლებმა გარდაცვლილის ბინა დაათვალიერეს და სურათი ნახეს, სადაც მოსამართლეს თეთრი კატა ეკავა ხელში. სურათი გამოსაჩენ ადგილზე, ვიტრინაში იდო და „პოლაროიდით“ გახლდათ გადაღებული, უკან კი თარიღი ეწერა.

„ახლა, ამ წლის საქმეებს ამოქექავთ და ნახავთ, ვის რა მიუსაჯა გარდაცვლილმა, ეგებ, ჩვენთვის საჭირო კაცი, სწორედ ამ წელს გაასამართლეს. ვიღაცამ იცოდა თეთრი კატის არსებობის შესახებ, ახლა კი იცოდა, რომ მოსამართლეს შავი კატა ჰყავდა. ამიტომ, არქივს საფუძვლიანად უნდა მივხედოთ“, – თქვა გამომძიებელმა თათბირზე და მოსამართლის იმ წლის საქმეებს ერთბაშად სამი ოპერმუშაკი ჩაუჯდა. ისეთი საქმე ვერ ნახეს, რომელზეც ხელის ჩაჭიდება შეიძლებოდა, მაგრამ გრძნობდნენ, რომ ყველაფერი ეს, სწორედ მოსამართლის წარსულს უკავშირდებოდა, მაგრამ მთელი კარიერის გადაქექვა ბევრ დროსაც წაიღებდა და საეჭვო საქმეებიც, შესაძლოა, რამდენიმე ყოფილიყო. ყოველი შემთხვევისთვის, გამომძიებელმა შვილიშვილის საქმროს სახელი და გვარიც გაიგო და როცა თათბირზე თქვა, ეს ბიჭი გადამიმოწმეთო, ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა იყვირა, მაგ გვარით კაცი ჰყავს გასამართლებული და თან ზუსტად იმ წელს, რომლითაც სურათი თარიღდებაო. საქმე მაშინვე ამოიღეს და შესწავლას შეუდგნენ.

საქმის მასალების მიხედვით, მამაკაცს ახალგაზრდა გოგოს გაუპატირებას ედავებოდნენ და მოსამართლემაც უმკაცრესი სასჯელი გამოუტანა – გაუპტიურებას მკვლელობის მცდელობის მუხლიც დაერთო და სასამართლოს განაჩენი 12 წელი იყო. შვილიშვილის საქმრო კი ამ კაცის შვილი გახლდათ. მამაკაცმა ციხე ორი წლის წინ დატოვა, თუმცა ტუბერკულოზის უმძიმესი ფორმა ჰქონდა და მკურნალობას გადიოდა. სამართალდამცავებმა ბიჭი დაკავეს და არც შემცდარან – ხელებზე კატის ბრჭყალების კვალი აშკარად ეტყობოდა.

„არ ვიცოდი, ჩემი საცოლის ბებია თუ იყო ქალი, რომელმაც ჩემი ოჯახი დაღუპა. მამა რომ დააკავეს და გაასამართლეს, დედას მალე ინფარქტი დაემართა და გარდაიცვალა. მე ბავშვთა სახლში გამამწესეს, არცერთმა ნათესავმა არ ისურვა, სახლში წაეყვანა ბავშვი, რომლის მამაც სასჯელს გაუპატიურებაზე იხდიდა. როცა გავიზარდე, მამა ციხეში ვნახე და მან მითხრა, რომ მისი გასამართლებით, ხელი ერთ-ერთი მაღალჩინოსნის შვილს დააფარეს. ამ საქმის მოწმეები სათითაოდ ვნახე და ეს ყველამ დამიდასტურა. არ მჯერა, რომ ამ მოსამართლემ არაფერი იცოდა, ამიტომ გავაკეთე ის, რაც გავაკეთე და არ ვნანობ. არ მინდოდა მომკვდარიყო, უფრო ის მსურდა, რომ ენერვიულა, ეტანჯა... ახალი კატა რომ მიეყვანა, იმასაც მოვკლავდი“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ მას სამწლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯა, ხოლო გარდაცვლილი მოსამართლის შვილიშვილმა ბიჭთან ურთიერთობის გაგრძელება აღარ ისურვა.

რისთვის მიუსაჯეს ექვსწლიანი პატიმრობა ლოთ დამლაგებელს

რადიატორზე დაბმული ბანკის თანამშრომელი – უცნაური შურისძიების დეტალები

ბათო ჯაფარიძე

სამწუხარო რეალობაა – უამრავ კომპანიას აქვს გამოცხადებული ვაკანსია,მაგრამ დასაქმების მსურველთა რიცხვი ცოტაა. ისე არ იფიქროთ, რომ ადამიანებს მუშაობა არ უნდათ, ან ეზარებათ. არა, უბრალოდ, ისინი ხვდებიან, რომ ანაზღაურება ღირსეული არ არის და ის, რასაც გამოიმუშავებენ, არ ეყოფათ საარსებოდაც კი. აგერ, ორიოდე დღის წინ, სოციალური ქსელი წალეკა ვაკანსიამ, რომელშიც ეწერა, რომ ერთ-ერთი კომპანია ეძებდა დამლაგებელს, რომელსაც თვეში 1200 ლარს გადაუხდიდა, მაგრამ როცა პირობებს კითხულობდნენ მსურველები, კომპანიას, უბრალოდ, აგინებდნენ. რატომ? იმიტომ, რომ დამლაგებელს დილის 8-დან საღამოს 8-მდე ანუ 12 საათი უნდა ემუშავა (ერთი საათი შესვენების უფლებით), რაც 11 საათს ნიშნავს დღეში და უნდა ემუშავა შაბათის ჩათვლით, დასვენება მხოლოდ კვირა დღე იყო. გამოდიოდა, რომ დამლაგებელს კვირაში 66 საათი უნდა ემუშავა და ეს მაშინ, როცა კანონით, კვირაში 40 საათზე მეტი ზეგანაკვეთურ მუშაობად ითვლება და ცალკე ანაზღაურებაა. მთლიანობაში, დამლაგებელს თვეში, დაახლოებით, 270 საათი უნდა ეშრომა და სანაცვლოდ 1200 ლარი მიეღო. ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ მართლა კარგ ვაკანსიასა და ღირსეულ ჯამაგირზე, ყველა ხვდება, რომ შანსი არ აქვს, რადგან იქ ხელმძღვანელობა ნაცნობს, მეგობარს, ძმაკაცს მიიღებს ანუ კარგი ვაკანსია შინაურობაში „ტყდება“, რა...

განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს პრაქტიკანტი გოგონა მიამაგრეს, ძალიან პერსპექტიულია და აბა, შენ იცი, ყველაფერი ასწავლეო. გოგონა მართლაც მონდომებული გახლდათ, ყველაფერს ისრუტავდა, არ აგვიანებდა, არც კონსპექტების გაკეთება ეზარებოდა, ბევრ რამეს იწერდა, ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ ეს იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა. დაახლოებით, ერთკვირიანი პრაქტიკის შემდეგ, გოგონამ გამომძიებელს ღამის 12 საათზე დაურეკა და შეხვედრა სთხოვა.

„მეგობარი მყავს, ბანკში მუშაობს, დღეს შეაგვიანდა, დამირეკა და მითხრა, თუ შეიძლება, შენთან დავრჩებიო. რა თქმა უნდა, გამიხარდა და 11-ზე, სამსახურიდან რომ გამოვიდა, დამირეკა, მოვდივარო, მაგრამ არ მოსულა. მასავით მოწესრიგებული არავინ მეგულება, გამორიცხულია, სხვაგან წასულიყო და ჩემთვის არ ეთქვა. მგონია, რომ ის უბრალოდ გაიტაცეს და არ ვიცი, ვის მივმართო“, – გოგონა აშკარად ნერვიულობდა.

გამომძიებელმა ყურადღებით მოუსმინა, შემდეგ ურჩია, ყველაფერი ეს, უახლოეს განყოფილებაში მოუყევი, ძებნა დაიწყონ და თან უთხარი, რომ მე საქმის კურსში ვარო.

გადაღლილი გამომძიებელი გამოძინებას აპირებდა და აშკარად არ სურდა, პრაქტიკანტს სადმე გაჰყოლოდა. გოგონა წავიდა, მაგრამ შემდეგ კიდევ ორჯერ დარეკა და მოახსენა, დაქალს ვერ ვპოულობო, თუმცა გამომძიებელს ძილის გარდა არაფერი აინტერესებდა, თანაც იცოდა, რომ დაკარგულს უკვე ეძებდნენ სამართალდამცავები და მათი იმედიც ჰქონდა.

მეორე დღეს, სამსახურში მისულ გამომძიებელს პრაქტიკანტი გოგონა კართან ელოდა. „მიშველეთ, გთხოვთ, ჩემი მეგობარი არც სახლში მისულა, არც სამსახურში დაბრუნებულა. მგონია, რომ გაიტაცეს, რომ ახლა აწამებენ, ან კლავენ“, – გოგონა ლამის ტიროდა და გამომძიებელმაც ყველაფრის თავიდან მოყოლა სთხოვა, ოღონდ დალაგებუყლად მომიყევი და არაფერი გამოგრჩესო.

გოგონაც ყველაფერს მოჰყვა და გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა, არც კი ვიცი, რით დაგეხმარო, საქმე რომც აღიძრას, მე არ მომცემენ, სახელმწიფო მნიშვნელობის ნამდვილად არ არისო, თუმცა დაჰპირდა, საქმე ვისაც უნდა მისცენ, დავურეკავ და ვეტყვი, რომ ყურადღებით მოეკიდონ და თან გავაკონტროლებო.

საქმე მართლაც აღიძრა და გამომძიებელიც კოლეგას სთხოვდა, თუ რამე საინტერესო იქნება, შემატყობინეო, მაგრამ...

ბანკის თანამშრომლების დაკითხვის შედეგად გაირკვა, რომ გოგონა სამსახურში ორი წლის წინ, ვაკანსიის გამოცხადების შემდეგ აიყვანეს და უფროსი, ვინც აიყვანა, მალევე მისი საყვარელი გახდა. მეტიც, ამბობდნენ, რომ მმართველი ოჯახთან დაშორებას აპირებდა და სწორედ ეს გოგო უნდა მოეყვანა ცოლად. ამიტომ, ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, სწორედ მმართველის ცოლი იყო, რადგან ის ორჯერ უკვე მიუვარდა გოგონას სამსახურში, ერთხელ თმითაც ითრია.

„რაა? ის კახპა დაიკარგა და მე მადანაშაულებთ? ახლა ნამდვილად არ ვაპირებ თავის მართლებას, რადგან ქმართან ურთიერთობა გავარკვიე და შევთანხმდით, რომ ჩვენი შვილის გამო, ერთმანეთს არ დავშორდებით, ის შტერი გოგო სხვა ფილიალში გადავა და ყველაფერი ძველებურად იქნება. ეს, შეგიძლიათ, ჩემს ქმართანაც გადაამოწმოთ“, – განაცხადა ქალმა და რაც მთავარია, იმ დროისთვის, როცა ბანკის თანამშრომელი დაიკარგა, ალიბიც დადო.

ძალოვნებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ. მთავარი ეჭვმიტანილი მართალი აღმოჩნდა და რაც მთავარია, არ არსებობდა სხვა ადამიანი, რომელსაც შესაძლებელია, მოტივი ჰქონოდა. მოტივი კი, ყველა საქმეში აუცილებელია. სხვა თანამშრომლების დაკითხვამაც არ გამოიღო შედეგი, რადგან ყველა ერთხმად აღნიშნავდა, მტერი არ ჰყოლია, რაც მოვიდა, ერთსა და იმავე პოზიციაზე მუშაობდა და მერე რა, რომ მმართველის საყვარელი იყო, დაკისრებულ მოვალეობას თავს აშკარად კარგად ართმევდაო. შესაბამისად, არავის ჰქონდა პრეტენზია, რომ მისი ადგილი დაეკავებინა და მტერიც არ ჰყავდა

„მე, უბრალოდ, იმისიც კი არ მჯერა, რომ ბანკის მმართველი მისი საყვარელი იყო. ის ყველაფერს მიყვებოდა და ამასაც მომიყვებოდა. ის თავისი საქმის პროფესიონალია და სამსახურის დასაწყებად ლოგინი და სექსი არ სჭირდებოდა“, – ბოლო ხმაზე კიოდა მისი დაქალი და განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს უკვე აშკარად ნერვებს უშლიდა. საბოლოო ჯაამში, ის იძულებული გახდა, საქმის მასალებს თავად გასცნობოდა, მაგრამ რამე ახალი ვერ აღმოაჩინა.

გადაწყდა, ბანკის მმართველი გამოკითხულიყო, რადგან, გარდა იმისა, რომ ის დაკარგულის უშუალო უფროსი იყო, ასევე, გარკვეული პერიოდი, საყვარლად ჰყავდა და წესით, ყველაზე მეტი უნდა სცოდნოდა. ბანკის მმართველმა ბევრი ვერაფერი გაიხსენა, ისიც დაადასტურა, რომ გოგო ნამდვილი პროფესიონალი იყო და უბრალოდ, გარემოებების დამთხვევა თუ არა, მათი ურთიერთობაც არ შედგებოდა ანუ გოგო მასთან კარიერის კი არა, სიყვარულის გამო იწვა.

„ერთი უცნაური შემთხვევა კი გვქონდა. ქალაქგარეთ, სასტუმროში წავედით ღამის გასატარებლად და დამლაგებელი მეცა, ახლა ვხვდები, ეს გოგო რატომ მამჯობინე, მე ხომ მასზე მაღალი შეფასება მივიღე, მაგრამ თურმე, საყვარლად გყოლიაო. მერე მოვიკითხე და როგორც მივხვდი, ის ერთ-ერთი იყო იმათგან, ვინც მაშინ გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა. შემიძლია, კონკურსის შედეგები გამოგიგზავნოთ, მე პროფესიონალი მჭირდებოდა და არა – ნაშა, სამსახურშიც სწორედ ის მივიღე, ვისაც ყველაზე მაღალი შედეგები ჰქონდა. ურთიერთობა მოგვიანებით აგვეწყო, მეც ძალიან შემიყვარდა, ლამის ცოლსაც დავშორდი, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ბავშვის გამო, ერთად უნდა ვყოფილიყავით“, – განაცხადა ბანკის მმართველმა, რომელსაც კარგად ახსოვდა იმ გოგოს სახელი და გვარი, რომელიც თავს დაესხა. მისი პოვნა არც სამართალდამცავებს გასჭირვებიათ.

თითქოს, უცნაური არაფერი ხდებოდა, ძალოვნები ეჭვმიტანილის ყოველ ფეხის ნაბიჯს აკონტროლებდნენ, მის შესახებ ინფორმაციაც მოიკითხეს მეზობლებში და მათი თქმით, გოგონა ძალიან კარგად სწავლობდა, დიდი მომავალიც უნდა ჰქონოდა, მაგრამ მერე გამზრდელი ბებია გარდაეცვალა და... გალოთდა. ჰო, სასმელს მიეძალა და სამსახურსაც ამის გამო ვერ პოულობდა. უფრო სწორად, პოულობდა, მაგრამ მუდმივად აგდებდნენ, რადგან ცოტა ხანს ითმენდა, შემდეგ კი ყველა სამსახურში მთვრალი მიდიოდა.

„ის, რომ საჭმელს არ ყიდულობს, არ ნიშნავს, რომ სახლში ჩვენი დაკარგული არ ჰყავს დაბმული. ხომ შეიძლება, უბრალოდ, შიმშილით კლავდეს და შურისძიებას ასე აპირებდეს? რაც შეხება თავად მას, არ ყიდულობს საჭმელს და ყიდულობს მხოლოდ სასმელს, ნიშნავს ერთადერთ რამეს – ლოთია და დასაყოლებლი, უბრალოდ, არ სჭირდება“, – თქვა გამომძიებელმა და იმდენი მოახერხა, რომ პროკურორს ბინის ჩხრეკის ორდერიც გამოსტყუა. სახლში შესულმა სამართალდამცავებმა რადიატორზე დაბმული და გოგონა მალევე იპოვეს, ბინის მფლობელი კი დააკავეს. მისი დაკითხვა მხოლოდ გამოფხიზლების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

„ის სამსახური ძალიან მჭირდებოდა, ვემზადებოდი, ბებია მყავდა ცუდად, მისი წამლებისა და მკურნალობის ფული სწორედ იმ სამსახურის ხელფასით უნდა გადამეხადა, მაგრამ არ ამიყვანეს. მაშინ ჩავთვალეე, რომ ამან მაჯობა, მაგრამ მერე, როცა მმართველთან ერთად ვნახე, მივხვდი, რომ ერთადერთი, რაშიც მაჯობა, ლოგინში კოტრიალი იყო. ბებიაც გარდამეცვალა, ვერაფერი ვუშველე. შემთხვევით დავინახე და გატაცებაც სპონტანურად გადავწყვიტე, თავში არყის ცარიელი ბოთლი ჩავარტყი და სახლამდე მოვათრიე. საჭმელს რატომ არ ვაჭმევდი? უი, ეგ არც გამხსენებია, უბრალოდ, რომ მოვდიოდი, ყოველ საღამოს წიხლს ჩავაზელდი ხოლმე და გავუშვებდი რამდენიმე დღეში“, – განაცხადა დაკავებულმა და... სასამართლოსგან ექვსწლიანი სასჯელიც მარტივად მიიღო.

ბათო ჯაფარიძე

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ იყო დრო, როცა საქართველოში უსინათლო ადამიანების მიმართულებით მთელი ინფრასტრუქტურა იყო აწყობილი. ისინი მუშაობდნენ სპეციალურად აღჭურვილ საწარმოებში და ქმნიდნენ არაერთი და ორი მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქტს. მათთვის იყო აშენებული საერთო საცხოვრებლები, არსებობდა სპეციალური სკოლა, სადაც სწავლობდნენ, სპეციალური ტექნიკუმი. მოკლედ, ამ მიმართულებით, ცხოვრება მართლაც დუღდა და სამწუხაროდ, როგორც ბევრი სხვა რამ, ესეც მოიშალა. უსინათლოები ხშირად ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე, ჰქონდათ საერთო ინტერესები, ჰქონდათ ბიბლიოთეკა, სადაც სპეციალურად მათთვის დაბეჭდილი წიგნები იყო და კითხულობდნენ, ეცნობოდნენ არა მარტო იმ დროის ლიტერატურას, არამედ, კლასიკოსებს.

ვინ და რატომ დაუწვა უსინათლო ქალს სახე

„მაინც მოხვედით ჩემამდე... აღარც ვაპირებ დამალვას, მინდა, ყველამ იცოდეს, როგორ ისჯებიან მოღალატე ქალები“

ჰოდა, უსინათლოთა კავშირის ერთ-ერთ წევრს დიდი უბედურება დაატყდა – ტყეში სეირნობდა, უცნობმა თვალებზე ანთებული ჩირაღდანი მიადო და არა მარტო წარბები და წამწამები, არამედ, სახის დიდი ნაწილიც დაუწვა. პარალელურად, დაეწვა თვალის შიდა გარსიც. გოგონა შემთხვევით გამვლელმა იპოვა და საავადმყოფოში წაიყვანა. მალე კლინიკაში მისი ქმარიც მივიდა.

„ღმერთო, ეს რა ხდება? ვინ არის ასეთი ბოროტი? იცით, ეს გოგო ჯერ კიდევ მაშინ შემიყვარდა, როცა მართლა უსინათლო იყო და ამბობდნენ, რომ სიცოცხლის ბოლომდე ასე იქნებოდა. მერე, როცა ცოლად მოვიყვანე, ორი ბინიდან ერთ-ერთი გავყიდე, აღებული ფულით და მთელი სანაცნობოს ჩარევის შემდეგ, ჯერ საზღვარგარეთ წავიყვანე კვლევებზე, შემდეგ კი იქიდან გამოგვაყოლეს პროფესორი, რომელმაც აქაური ექიმის ასისტენტობით, საოცარი ოპერაცია ჩაატარა და ჩემმა სიყვარულმა დღის სინათლე იხილა. ახლა კი... ახლა აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. ექიმებმა თქვეს, წინასწარი დათვალიერებით, თვალის გარსი ისეა დაზიანებული, რომ გამორიცხულია, ოდესმე, რამე დაინახოსო. გემუდარებით, გთხოვთ, გვიშველეთ, იპოვეთ დამნაშავე და უმკაცრესად დასაჯეთ“, – ბოლო ხმაზე მოთქვამდა ქმარი.

რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავები საქმეში ჩაერთვნენ, პირველ რიგში, ის ადამიანი დაკითხეს, ვინც გოგონა იპოვა, მაგრამ ბევრი ვერაფერი გაიგეს – მან ყვირილი გაიგონა, ადგილამდე მივიდა, ნახა გოგო, რომელსაც სახე დამწვარი ჰქონდა, ჩასვა მანქანაში, საავადმყოფოში მიიყვანა და მილიციაშიც თავად დარეკა, მერე სამართალდამცავებს დაელოდა და შემთხვევის ადგილის ჩვენებას დაჰპირდა.

რეალურად, ძალოვნების ყველაზე დიდი იმედი ის გახლდათ, რომ დაზარალებულს შესაძლოა, ეცნო თავდამსხმელი, აღეწერა მაინც, ან რამე დამახასიათებელი ნიშანი დაესახელებინა, მაგრამ ექიმები ჯერჯერობით დაკითხვის უფლებას არ იძლეოდნენ, გაუსაძლისი ტკივილის გამო, მუდმივად ტკივილგამაყუჩებლების ქვეშ გვყავს და ნახევრად გათიშულიაო. შემთხვევის ადგილზეც საინტერესო ბევრი არაფერი იყო, შემთხვევის ადგილიდან, დაახლოებით, ას მეტრში, სავარაუდოდ, ის ჯოხი იპოვეს, რომელზეც ტილო იყო დახვეული და დამწვარი გახლდათ. სავარაუდოდ, სწორედ ეს ხელნაკეთი ჩირაღდანი მიადეს თვალებზე დაზარალებულს, მაგრამ გამხმარ ტოტზე რამე კვალის აღმოჩენა გამორიცხული იყო, მაგრამ რაღა თქმა უნდა, ნაპოვნი ნივთმტკიცება ექსპერტიზაზე გაგზავნეს.

ამასთან, აუცილებელი იყო გოგონას გარემოცვის შესწავლა, ჰყავდა თუ არა მტერი, შეიძლებოდა თუ არა, ეს შურისძიება ყოფილიყო. მისმა მეგობრებმა გაიხსენეს, რომ სანამ გათხოვდებოდა, დაზარალებულის მეუღლეს ჰყავდა საცოლე, დაზარალებულის საუკეთესო მეგობარი და მომავალი ცოლ-ქმარი ერთმანეთს სწორედ მან გააცნო. შემდეგ, როცა მათი რომანი გაიბა, ის გვერდზე გადგა, რასაც ადასტურებდა კიდეც.

„ჩემს მეგობარს თვალებზე ცეცხლმოკიდებული ჩირაღდანი მიადეს? ძალიან, ძალიან ვწუხვარ. საოცარი გოგოა, ვერ ვხვდები, ვის შეიძლებოდა ასე გაემეტებინა? მე სად ვიყავი მაგ დროს? თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე ვიძიე შური, სისულეელეა, რადგან ორი წელია, გათხოვილი ვარ, შვილი მყავს, საყვარელი ქმარი და ძალიან ბედნიერი ვარ. მეტიც, არ მწყენია, როცა საქმრო წამართვა, თუ კაცი წამსვლელია, უნდა გაუშვა და ძალა არც მე დამიტანებია. ჩემს აზრს გეტყვით – ვიღაცას რაღაც შეეშალა, გამორიცხულია, ასეთი სულის ადამიანს მტერი ჰყოლოდა“, – განაცხადა ეჭვმიტანილმა და სამართალდამცავებიც მიხვდნენ, რომ იქ არ ეძებდნენ, სადაც საჭირო იყო.

გოგონას ყველა დადებითად ახასიათებდა, უფრო ზუსტად, ძალიან დადებითად, ხოლო ის, რომ ქმარი მასზე გიჟდებოდა, იქიდანაც ჩანდა, რომ მან გააკეთა ყველაფერი, რათა ცოლისთვის ემკურნალა და როცა მას თვალი აეხილა, ყველაზე ბედნიერი იყო. ის საავადმყოფოდან არ მიდიოდა, პრაქტიკულად, იქ ცხოვრობდა და როცა ექიმებმა გოგონას დაკითხვის ნება დართეს ძალოვნებს, მოუთმენლად ელოდა, რას იტყოდა.

„როგორ მინდა, რომ იცნოს, როგორ მინდა, რომ იცოდეს, ვინ იყო ის არაკაცი... ამას არავის ვაპატიებ, ვინც უნდა იყოს, არ ვაპატიებ“, – ამბობდა ქმარი, მაგრამ... სამართალდამცავები პალატიდან ყურებჩამოყრილი გამოვიდნენ – გოგონას წარმოდგენა არ ჰქონდა, თავს ვინ დაესხა, მაგრამ იმდენად განიცდიდა მომხდარს, რომ სულ კანკალებდა და ექიმებს ისევ დამამშვიდებლის გაკეთება მოუხდათ.

საინტერესო ის გახლდათ, რომ გოგონას ძვირფასი ყელსაბამი ეკეთა და ვინმეს რომ მისი გაქურდვა დასჭირვებოდა, ამას მარტივად მოახერხებდა, მაგრამ ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ეს არ იყო რიგითი შემთხვევა, ეს გახლდათ შურისძიება, მაგრამ ვინ და რატომ იძია შური გოგოზე, რომელსაც ყველა ძალიან, ძალიან დადებითად ახასიათებდა.

„რაღაც გვეპარება, რაღაც ცხვირწინ გვიდევს და ვერ ვხვდებით. ამიტომ, ბევრი, ბევრი უნდა ვიფიქროთ და იმ უმარტივეს რაღაცას მივხვდეთ, რაც საქმის გახსნამდე მიგვიყვანს“, – ამბობდა გამომძიებელი და... მართლაც, ორი დღის შემდეგ, ჰაერში გამოეკიდა კითხვა, რომელზე პასუხიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დაკითხვაზე დაზარალებულის ქმარი დაიბარეს.

„თქვენ ამტკიცებთ, რომ ცოლთან იდეალური ურთიერთობა გაქვთ, ამას ამბობს ყველა, იმასაც ამბობენ, რომ თქვენი ცალ-ცალკე ნახვა წარმოუდგენელი იყო. მაშინ, რა მოხდა ისეთი, რომ იმ დღეს, თქვენს გარეშე, თქვენი ცოლი სადღაც, ტყის პირზე აღმოჩნდა. ვის უნდა შეხვედროდა და რატომ? სად იყავით იმ დროს და რატომ არ ახლდით მეუღლეს“, – გამომძიებელმა კითხვები სეტყვასავით დააყარა.

„იცით, ეგ მეც მაინტერესებს, მაგრამ ჯერ ჩემი გოგო ცუდადაა, არ მინდა, ასეთი კითხვებით დავტვირთო და ამიტომ, არც მიკითხავს. იმედი მაქვს, როცა გამოჯანმრთელდება, მერე მეტყვის. მნიშვნელობა არ აქვს, რომ სახე დაეწვა, რომ ვეღარ დაინახავს. მე ის მიყვარს, მე ის ბრმა მოვიყვანე და ახლაც მზად ვარ, მთელი ცხოვრება ხელით ვატარო“, – განაცხადა ქმარმა.

მოცდა აღარ შეიძლებოდა, ამიტომ გამომძიებელმა თავად ჰკითხა დაზარალებულს, ტყეში რას აკეთებდიო და მან მშვიდად მიუგო, უბრალოდ, სასეირნოდ ვიყავი წასული. მას შემდეგ, რაც თვალი ამეხილა, ბუნების სილამაზით ვტკბებოდიო, მაგრამ მისი პასუხი აშკარად არადამაჯერებელი იყო. გამომძიებლები იმ კლინიკაში მივიდნენ, სადაც გოგონას ოპერაცია გაუკეთეს და...

„ეგ გოგო როგორ არ მახსოვს, ჩვენი ექიმის საცოლეა. ჰო, ვიცი, ქმარი ჰყავს, მაგრამ პირველი მამაკაცი, რომელიც დაინახა, სწორედ ექიმი იყო და, ალბათ, ამის ბრალია, თავდავიწყებით რომ შეუყვარდა. ქმართან დაშორებას აპირებდა, როგორც ვიცი, მაგრამ რა ქნეს, ვერ გეტყვით“, – ჭორიკანა ექთანმა სამართალდამცავებს ყველაფერი წვრილად „ჩაუკაკლა“. ასე იქცა მთავარ ეჭვმიტანილად ქმარი, რადგან დაზარალებული მას აუცილებლად ეტყოდა, რომ დაშორება სურდა, ის კი ვერ აიტანდა. გამომძიებლები ქმრის დასაკითხად წავიდნენ და რაც მთავარია, აინტერესებდათ მისი ალიბი.

„მაინც მოხვედით ჩემამდე... აღარც ვაპირებ დამალვას, მინდა, ყველამ იცოდეს, როგორ ისჯებიან მოღალატე ქალები. მისი გულისთვის ყველაფერი გავწირე, მისი გულისთვის ექიმებს უამრავი თანხა შევტენეე, ეს შტერი კიდევ, მოვიდა და მეუბნება, თვალი რომ გავახილე, ბევრი რამ შეიცვალა და ექიმი მიყვარსო. გესმით? მე რომ არა, ვერასდროს აეხილებოდა თვალი და მერე მეუბნება, მორჩა, შენთან ცხოვრება აღარ მინდაო. ჰოდა, დავაბრუნე იქ, სადაც იყო, იმ რეალობაში და ახლა წაჰყვეს იმ კაცს, თუ წაიყვანს, მაგრამ არა, ჩემს გარდა, ეს გოგონა არავის უყვარს ისეთი, როგორიც არის“, – განაცხადა ქმარმა.

გამოძიებამ ექიმიც დაჰკითხა და მან დაადასტურა, რომ გოგონას შერთვას მართლაც აპირებდა და... უარზე არც ახლა იყო. რაც შეეხება თავად დაზარალებულს, როგორც მან მორიგი დაკითხვის შემდეგ თქვა, ქმარი დაემუქრა, თუ იტყვი, რომ ეს ყველაფერი მე გავაკეთე, სანამ დამიჭერენ, ექიმს მოვკლავო. სასამართლომ დამნაშავეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, გოგონას კი რამდენიმე ოპერაცია კიდევ ჩაუტარეს, თუმცა ყველა უშედეგოდ.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია რვა პირი.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ნ.ნ. და 1985 წელს დაბადებული კ.მ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ერთ-ერთი ბრალდებულის ავტომობილის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, 4 მჭიდი და 32 ვაზნა ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2006 წელს დაბადებული გ.რ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა მისი პირადი ჩხრეკისას, „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 6 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1995 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ო.ო. დააკავეს. პოლიციამ გ.კ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 16 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1964 წელს დაბადებული გ.ყ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 13 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის წყალტუბოსა და ვანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი – 1987 წელს დაბადებული შ.ლ. და 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.გ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ამოიღეს: 2 მცირეკალიბრიანი შაშხანა, პისტოლეტი, მჭიდი და 5 ვაზნა.

ამავე დეპარტამენტის ქუთაისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1982 წელს დაბადებული ნ.ტ. დააკავეს, რომლის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, პოლიციამ ნივთმტკიცებად პისტოლეტი ამოიღო. დანაშაული 3-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ შიდა ქართლში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2009 წელს დაბადებული გ.ყ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე ჭრილობები მიაყენა 1950 წელს დაბადებულ ზ.ლ.– ს, რის შემდეგაც, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიყენებული დაზიანებების შედეგად, დაჭრილი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა გ.ყ. ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

იმერეთის პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი, გ.მ. დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა რომ, ბრალდებულმა სამტრედიაში, მეზობელ ქალს – 1952 წელს დაბადებულ ნ.ხ.-ს, ცივი იარაღით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის 19 პირი დააკავა, მათ შორის 6 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის, თბილისის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის და მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 19 პირი დააკავეს, მათ შორის, 6 ნარკორეალიზატორია.

დაკავებულები არიან, როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების გასაღების, გასაღების მცდელობისა და გასაღების მომზადების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1991 წელს დაბადებული თ.ა., 1964 წელს დაბადებული გ.გ., წარსულში ნასამართლევები 1983 წელს დაბადებული მ.ჯ. და 1975 წელს დაბადებული კ.კ., ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1997 წელს დაბადებული შ.ე. და 1989 წელს დაბადებული ი.შ.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების, ასევე, ფსიქოტროპული ნივთიერებების და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანისა და კულტივირების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1988 წელს დაბადებული ბ.ი., 1976 წელს დაბადებული ლ.ნ., 2001 წელს დაბადებული კ.კ., 2001 წელს დაბადებული მ.ს. და წარსულში ნასამართლევი პირები: 1983 წელს დაბადებული მ.ვ., 1991 წელს დაბადებული ი.ბ., 1984 წელს დაბადებული ლ.მ., ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 2001 წელს დაბადებული მ.მ., 1980 წელს დაბადებული ო.კ., 1999 წელს დაბადებული ე.ა., 1992 წელს დაბადებული ა.ხ., 2003 წელს დაბადებული ნ.მ., 1990 წელს დაბადებული ჰ.ჩ.

დანაშაულები 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ასევე, მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან სხვადასხვა სახის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის: „ჰეროინი“, „კოკაინი“, „მდმა“, „პრეგაბალინი“, „მეტადონი“, „ალფა პვპ“, „ბუპრენორფინი“, „მეპამფეტამინი“, „მარიხუანა“ და „ლირიკა“ ამოიღეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციის მიერ ნივთმტკიცებად არის ამოღებული სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული, წებოვანი ლენტები და ელექტრო სასწორები.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 261-ე, 265-ე, 18-260-ე, 19-260-ე და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

კიდევაც დაიზრდებიან – კონსტანტინე პეტრიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია

ორ კვირაზე ნაკლებია გასული მას შემდეგ, რაც გენო პეტრიაშვილმა პარიზში ოლიმპიადა მოიგო და ოქროს მედალი დაიკიდა. ჰოდა, 25 აგვისტოს, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის, ოქროს მედალი გენოს უმცროსმა ძმამ, კონსტანტინე პეტრიაშვილმა მოიგო. ყველა შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარა და ფინალში, ნეიტრალური დროშის სახელით მოასპარეზე რუს როდიონ სანაკოევს 8:0 მოუგო.

„იმედია, გენოს არ ეწყინება, თუ ვიტყვით, რომ კონსტანტინე მასზე ჭკვიანი მოჭიდავეა და მასზე დიდი მომავალი ექნება. ის მწვრთნელებს უსმენს და რაც მთავარია, ხალიჩაზე ძალიან დამაჯერებლად მოქმედებს“, – ამბობენ ჭიდაობის ქართველი ექსპერტები.

ისე, უმცროსი პეტრიაშვილი -92 კილოგრამში ჭიდაობს და მისი ასაკის გათვალისწინებით, მალე მძიმე წონაში გადავა. მერე კი, როცა უფროსი პეტრიაშვილი კარიერას დაასულებს, ეროვნულ გუნდში, ალბათ, მის ადგილსაც დაიკავებს და ვინც იცის, ოლიმპიადაზე საქართველოს ჰიმნი, შესაძლოა, კიდევ ერთმა პეტრიაშვილმა დააკვრევინოს.

კვარაცხელიამ გოლით და საგოლე გადაცემით დაიწყო, თუმცა...

მიმდინარე სეზონში, საკუთარ მოედანზე პირველი შეხვედრა ჩაატარა იტალიურმა „ნაპოლიმ“. „დიეგო მარადონაზე“, მამის სტატუსით პირველად გავიდა ხვიჩა კვარაცხელია და ყველა ველოდით, რომ თუ ქართველი შემტევი გოლს გაიტანდა, მას აუცილებლად „ბებეტოს ჟესტით“ აღნიშნავდა. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარულმა ბრაზილიელმა, თავის დროზე, პატარას დაბადება ცერა თითის პირში ჩადებით აღნიშნა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს საღამო კვარაცხელიას ბენეფისად იქცა. ჯერ იყო და, ქართველმა საოცარი და უზუსტესი პასით, თანაგუნდელი დი ლორენცო მეკარეს შეატოვა და მას გატანა არ გასჭირვებია, მერე კი თავად ცენტრიდან წაიღო ბურთი და მიმდინარე სეზონში გოლთა აქტივი გახსნა.

იტალიური მედია წერს, რომ მატჩს კვარაცხელიას ქართველი აგენტი, მამუკა ჯუღელიც ესწრებოდა, რომელმაც კლუბის პრეზიდენტთან, აურელიო დე ლაურენტისთან კონტრაქტის გახანგრძლივებისა და ჯამაგირის გაზრდის თაობაზე, ბოლო მოლაპარაკება უნდა გამართოს. დე ლაურნეტისი მზად არის, ქართველს წლიურად 6 მილიონი გადაუხადოს, მაგრამ...

„თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ნაპოლი“ ბელგიელ ფორვარდს, რომელუ ლუკაკუს დაიმატებს და როგორც მისი აგენტი აცხადებს, 31 წლის თავდამსხმელის ჯამაგირი წლიურად 8 მილიონი ევრო იქნება. შესაძლოა, ეს არ არის ძალიან ბევრი, მაგრამ ეს უსამართლოა კვარაცხელიასთან მიმართებით. ხვიჩა გუნდის ლიდერი, საუკეთესო და, რაც მთავარია, ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშეა, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ მას ყველაზე მეტი ანაზღაურება უნდა ჰქონდეს, მაგრამ დე ლაურენტისი ამის გაკეთებას არ ჩქარობს“, – წერს იტალიური მედია.

მექვაბიშვილმა სეზონი დაასრულა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და რუმინული „უნივერსიტატეას“ ნახევარმცველმა, ანზორ მექვაბიშვილმა სეზონი ნაადრევად დაასრულა. როგორც რუმინული წყაროები იუწყებიან, ქართველი ბუქარესტში, „დინამოსთან“ შეხვედრაში დაშავდა და კვლევებმა აჩვენა, რომ მას მუხლის ჯვარედინი მყესები აქვს გაწყვეტილი. ეს ტრავმა ფეხბურთში ყველაზე საშინელია და მის მორჩენას 8-9 თვე სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენებურისთვის სეზონი დასრულებულია.

არადა, მექვაბიშვილი ახალ გუნდს კარგად შეეწყო, მის ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა და რაც მთავარია, მისი იმედი სანაკრებო მატჩებშიც გვქონდა, თუმცა ახლა მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ ანზორს მალე გამოჯანმრთელება ვუსურვოთ.

მამარდაშვილის საგა გრძელდება – ან ამ კვირაში, ან წელს აღარ

ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ტურის მატჩები გაიმართა და მეორე მარცხი იწვნია გიორგი მამარდაშვილის „ვალენსიამ“. „ღამურები“ ამჯერად სტუმრად, „სელტასთან“ 1:3 დამარცხდნენ, თუმცა ანგარიში, შესაძლოა, მეტიც ყოფილიყო, მამარდას პენალტი რომ არ მოეგერიებინა. მხოლოდ ესპანელები კი არა, უკვე მთელი ევროპა აღიარებს, რომ ქართველი კიპერი ისეთი სუსტი გუნდისთვის, როგორიც „ვალენსიაა“, ზედმეტად დიდი ფუფუნებაა და ამიტომ, არავის უკვირს, რომ მის გადაბირებას „ლივერპული“ ცდილობს.

„შეთანხმება უკვე მიღწეულია, მამარდაშვილის სანაცვლოდ, „ვალენსია“ 40 მილიონ ევროს მიიღებს, ხოლო თავად ფეხბურთელს ოთხწლიანი კონტრაქტი და წლიურად, თითქის, 4 მილიონი ევრო აქვს გამზადებული. ამასთან ერთად, მიმდინარე სეზონს გიორგი იჯარის წესით, ისევ „ვალენსიაში“ გაატარებს და „ლივერპულს“ გაისად, მას შემდეგ შეუერთდება, რაც გუნდიდან მერსისაიდელების პირველი მეკარე წავა“, – წერს ბრიტანული გამოცემა.

ამ ტრანსფერს ყურადღებით აკვირდება თბილისის „დინამოც“, რადგან კონტრაქტში, რომელიც „ვალენსიასთან“ არის გაფორმებული, წერია, რომ მამარდაშვილის გაყიდვის შემთხვევაში, თბილისურ კლუბს ტრანსფერის 10% ერგება ანუ ინგლისელეების მიერ გადახდილი 40 მილიონიდან, 4 მილიონი „დინამოს“ ბიუჯეტში ჩაირიცხება.

ბრიტანული მედია იმასაც წერს, რომ „ლივერპულმა“, შესაძლოა, სატრანსფერო სეზონის ბოლომდე (1 სექტემბერი), სუპერ-ტრანსფერი განახორციელოს და „ნაპოლიდან“ ხვიჩა კვარაცხელია დაიმატოს. არადა, თითქოს კვარა ნეაპოლურ კლუბში დარჩა და თითქოს ყველაფერი შეათანხმა, მაგრამ როგორც ამბობენ, გუნდში მწვრთნელსა და პრეზიდენტს შორის, სიტუაცია უკვე დაიძაბა და ხვიჩა გუნდის გამოცვლის წინააღმდეგი არ იქნება.

ბედის ირონია – მიქაუტაძე ტრანსფერზეა

როცა გიორგი მიქაუტაძე „მეცადან“ „ლიონში“ გადავიდა, ქართველ გულშემატკივარს ძალიან გაუხარდა, რადგან ლიონური კლუბი საფრანგეთის ერთ-ერთი გრანდია. შარშანდელი სეზონი ჩაუვარდათ, თორემ ეს კლუბი ჩემპიონთა ლიგაზე მუდმივად თამაშობს და საჩემპიონო ამბიციაც მუდმივად აქვს, თუმცა...

აგერ, ორი ტური მიილია და „ლიონმა“ ორივე შეხვედრა წააგო, თანაც მშრალი ანგარიშით ანუ გუნდს ჯერ გოლი არ გაუტანია. ამის კარგი შანსი პირველ ტურში, სწორედ მიქაუტაძეს ჰქონდა, მაგრამ ქართველმა თავდამსხმელმა პენალტის ნიშნულიდან ვერ გაიტანა. რაც შეეხება მეორე ტურს, რომელშიც ლიონელები „მონაკოს“ მასპინძლობდნენ, ჟორჟმა შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე დაიწყო და მოედანზე მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდა, რაც მისი თანაგუნდელი დაიმტვრა. ეს კი, მატჩის მე-17 წუთზე მოხდა ანუ მიქაუტაძეს თითქმის მთელი შეხვედრა ჰქონდა თავის გამოსაჩენად, მაგრამ ამაოდ. რაც ყველაზე ცუდია, მწვრთნელმა ქართველი მის პოზიციაზე არ ათამააშა, ფლანგზე დააყენა, რამაც მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ლამის გაანულა. ფრანგი ექსპერტებიც ამბობენ, რომ მიქაუტაძის ფლანგზე თამაში, უბრალოდ, სისულელეა და მომავალში მწვრთნელი ასე არ უნდა მოიქცეს, მაგრამ „ლიონის“ მთავარ დამრტყმელ ძალად, გუნდის კაპიტანი და საფრანგეთის ნაკრების წევრი, ალექსანდრ ლაკაზეტი ითვლება და თუ მწვრთნელი ორი თავდამსხმელით თამაშს არ გადაწყვეტს, მიქაუტაძეს ძირითადში მოხვედრის ძალიან მცირე შანსი აქვს.

თუმცა, მთავარი არც ეს არის. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია გუნდს ფეარ-ფლეის ფინანსური პრინციპების დარღვევაში ადანაშაულებს და 1 სექტემბრამდე, კლუბმა თავისი სალარო 75 მილიონი ევროთი უნდა შეავსოს, რაც მხოლოდ ფეხბურთელების გაყიდვით არის შესაძლებელი. ჰოდა, კლუბის პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელი ტრანსფერზეა და ისინი გაიყიდებიან მანამ, სანამ სალაროში 75 მილიონი არ შევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტრანსფერზეა მიქაუტაძეც და დიდი შანსია, 1 სექტემბრამდე, მან სხვა კლუბის მაისური მოირგოს.

მილიარდი ვინისიუსის სანაცვლოდ

აბა, ვინ წარმოიდგენს, რომ მადრიდის „რეალის“ 24 წლის შემტევი, ვინისიუს ჟუნიორი კარიერის სხვაგან გაგრძელებაზე იფიქრებს, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ფული ჯოჯოხეთს ანათებს და დიდი შანსია, ვინის გული და სულიც გაანათოს. საქმე ის გახლავთ, რომ ერთ-ერთი არაბული კლუბი მზად არის, ფეხბურთელის სანაცვლოდ, ერთი მილიარდი ევრო გადაიხადოს, თავად მოთამაშეს კი ოთხწლიანი ხელშეკრულება გაუფორმოს და ამ ოთხ წელიწადში, ხელფასის სახით... ერთი მილიარდი მისცეს.

„ჯერ მხოლოდ 24 წლის ვარ და ოქროს ბურთის მოგება მინდა. წელს არსად წასვლას არ ვაპირებ, მაგრამ თუ ოქროს ბურთს მოვიგებ, მერე შეიძლება, წასვლაზეც დავფიქრდე“, -განაცხადა ვინისიუსმა, მაგრამ...

საქმე ის გახლავთ, რომ ბრაზილიელს კლუბთან მოქმედი კონტრაქტი ორი წლის შემდეგ უმთავრდება და მის გაგრძელებას არ ჩქარობს ანუ მიმდინარე სეზონის ბოლოს, მას „რეალთან“ მხოლოდ ერთწლიანი ხელშეკრულებაღა დარჩება, რაც ძალიან ცოტაა, თუმცა შესაძლოა, კლუბთან ვაჭრობაში, მან სწორედ ეს კონტრაქტი სათავისოდ გამოიყენოს. ვინისიუსი „რეალს“ მარტივად ეტყვის, რომ თუ მაგალითად, 100 ან 200 მილიონის სანაცვლოდ არ გაუშვებს, ერთი წლის შემდეგ, საერთოდ უფასოდ დაკარგავს, ხოლო არაბებს აუხსნის, რომ იმ ბონუსის ნახევარი მაინც, რაც სატრანსფეროდ გამოყოფილი მილიარდიდან დარჩება, მას პრემიის სახით მისცენ.

ერთი რამის თქმა ნამდვილად შეიძლება – არაბეთში უკვე აღარ იციან, ფული სად და რაში დახარჯონ და მსოფლიოს უბრალოდ აგიჟებენ. მილიარდი ფეხბურთელში, ვინც არ უნდა იყოს ის, სრული სიგიჟეა, მაგრამ ეს სიგიჟე უკვე გაისად, ალბათ, რეალობად იქცევა.

ჩემი წარმომავლობა

რევაზ ინანიშვილი

ჩვენი ძველი სახლი ივრის ხეობას გადაჰყურებს. წინ პატარა ბაღი გვაქვს, ხეხილნარი, მერე ფერდობია, ფერდობის ძირში წისქვილის არხი გადის, არხის იქით ჭალის ვენახებია, მერე – თვითონ ჭალა, მერე – რიყე და რიყეში – ცისფერი ყაჭივით წაღებული იორი.

ფერდობში ახლა კომშები, ქლიავები, ალუბლები და პატარა კაკლები დგას, ადრე კი, ჩემს ბავშვობაში, თელები, მუხები, ხეშავები და ბებერი წნორები იდგა. წნორები არხის ნაპირას იყო გაყოლებული, იმათი ტოტები მეორე ნაპირზე გადადიოდა. არხი დიდი იყო, წმინდა წყლით გალიცლიცებული, წყალი ტანად კაცს საცვლის უბემდე სწვდებოდა. ზაფხულობით, ცხელ დღეებში, ბანაობდნენ არა მარტო ბავშვები, დიდებიც – კაცებიც და ქალებიც. ქალები საღამო ხანზე შებინდებულში, თანაც ტანსაცმლიანები, ხმაურით – წყლის დგაფუნით და შეკივლებებით.

ბანაობის შემდეგ შემცოდეებივით სახემორიდებულნი გარბოდნენ თავთავიანთი სახლებისაკენ. წნორების ფესვებში ცხოვრობდნენ წყლის ვირთაგვები, შავად მოლივლივენი, ბრჭყვიალა დაცეცებულთვალებიანები. რამდენჯერმე მინახავს წავიც – დიდი თეთრი თევზით პირში. ახლაც სიამოვნების ჟრუანტელს მგვრის არხის დაჩრდილული ნაპირებისა და ფეხისგულებზე სილიანი ფსკერის შეხების გახსენება.

შემოდგომაზე, ყვითელ ოქტომბერში, ამოიტანდა ბებია ვედროებით არხის წყალს და მეტყოდა, – უკვე თოფოლი მოდის, თევზი ზღვისკენ დაიძრა, ამაღამ კოკოზა ჩაუგეო. მე პატარა, გამხდარ, დიდთავა ბიჭს – სიხარულის ჩოჩქოლი შემიდგებოდა.

მზის ჩასვლისას, დერეფნის ბუხარში დანთებულ ცეცხლზე გავახურებდი ნალისოდენა ხმელ პურს. ჩავიტანდი კოკოზას არხთან, ჩავაწყობდი შიგ, სიმძიმისათვის, ქვებს, დავუგმანავდი ბალახის ბღუჯით ბოლოს, გავუხლართავდი წნელსაც, გახუხულ პურს კოკოზის საძრომში ხელშეყოფილი ჩამოვკიდებდი ჩანგალივით დაკიდებულ მავთულზე, კარგად ჩავიდოდა მზე, ერთს ვიტყოდი, – ღმერთო და ბედო! – კოკოზას ფრთხილად ჩავუშვებდი წნორის ფესვებთან, დამდორებულ წყალში (პირთავქვე, მცურავი რომ არ შესულიყო შიგ) და ორი წნელით მივაბამდი ფესვებზე.

სანამ ავდგებოდი, ერთხელაც ვიტყოდი, – ღმერთო და ბედო! – გადმოვიდოდი ცოტა უკან, ამოვეფარებოდი ბუჩქს და ვიყავი იქ სულგანაბული შებინდებამდე, – კოკოზას ვყარაულობდი, ვინმეს რომ არ ამოეღო, – შებინდდებოდა და პატარა, ბავშვურ შიშზე გამარჯვებული, აღმართზე ამოქაქანებული ამოვიდოდი შინ. ღმერთო, თან რა საამაყო იყო ის შიშიც!

მოდიოდა, მოლივლივებდა ერთი შეხედვით მორჩილი, თვინიერი წყალი. ციმციმით მოჰქონდა ყვითელი ფოთლები და პატარ-პატარა თეთრი ბუშტები, მაგრამ იმ ბუშტებიდან ფსკერამდე წყალი სავსე იყო იდუმალი მოძრაობებით, – ჩემკენ შემობრუნებულნი ჩერდებოდნენ მდუმარე, დაფიქრებული თევზები, ჩალის გრძელ ღეროებს ქვემოთ ეწეოდნენ ჩრდილებივით დაგრძელებული რაღაც ტანრბილი არსებები (სინამდვილეში ხავსები), ჭრაჭუნობდა, თითქოს პირის გახსნას ლამობდა მიწა, ბუჩქნარებში კი ჩემსავით გატრუნულები იდგნენ თავგლეჯელები... ადრე დავწვებოდი, მაგრამ გვიანობამდე ვერ დავიძინებდი, ლოგინში უფრო მაკრთობდა იმ ჩაბინდული წყლისა და მისი ნაპირების წარმოდგენა. თანაც იყო სიხარულის შუქიც. ამ შუქში ვეწეოდი კოკოზას და გაჰქონდათ გულგასახარი ფათქაფუთქი თევზებს.

როდის-როდის ჩამეძინებოდა და თითქოს სულ მალე მხარზე ხელ დამადებდა ბებიაც. – ადექი, გათენდა, ამოიღე ის შენი კოკოზაო. მართლაც გათენებული იყო ხოლმე. წამოვხტებოდი, ფათიფუთით ჩავიცვამდი, ჩავირბენდი თრთვილითა და მკვრივი ცივი ჰაერით გამოვსებულ ფერდობს, ჩავიჩოქებდი წნორის ფესვებთან, კიდევ ერთხელ ვიტყოდი, – ღმერთო და ბედო! – ხელებაკანკალებული ავხსნიდი წნელებს, ამოვწევდი, პირს ამოვუჩენდი კოკოზას, და თუ ფართხალი და დგაფუნი შემომესმებოდა, გადმოვვარდებოდი უკან, გადმოვიყოლებდი კოკოზასაც – სწრაფად გამოვაცილებდი წყალს.

ულამაზესი სურათი ბავშვთათვის – ქვებზე მოხტუნავე ფრთებგაშლილი თევზები! იყო შემთხვევები, რომ ჩემი წყრთის სიგრძე ჭანჭრები და მურწები დამიჭერია, ზოგჯერ ოთხი-ხუთი ერთად. არა მგონია, რომელიმე სარდალს ეამაყოს ბრძოლის მოგებით ისე, როგორც მე მეამაყებოდა იმ ოთხი-ხუთი თევზის შინ მიტანა.

სუნთქვაშეკრული, ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებული დავუდგამდი ბებიას კოკოზას წინ. ბებია ჩაიხედავდა შიგ, რაღაც უბრალოდ, კეთილად გაეღიმებოდა, – ეს ღიმილი მერჩივნა ყოველგვარ შექებას, – ამოიყვანე და გამოწელეო, – მეტყოდა და თვითონ თავის საქმეს მიუბრუნდებოდა, მთლად შავად შემოსილი, კვამლივით უხმაუროდ მოძრავი, ტრიალებდა ცეცხლთან, შედიოდა მარანში, გამოდიოდა, გამოჰქონდა ან შეჰქონდა სხვადასხვა რაღაცები, ტუჩების ცმაცუნის, ხმელი თითების ერთმანეთზე მიდებით და მერე გაქნევით აპკურებდა ცივ წყალს ცეცხლიდან ის-ისაა გადმოდგმულ მოხარშულ თევზს და მეჩვენებოდა, რომ ბებია გრძნეული ქალი იყო, კეთილი გრძნეული ძალისა, – ის განაგებდა ყველაფერს (ჩვენს ოჯახში კაცები აღარ იყვნენ), განაგებდა ცეცხლის პარპარს, ხეებიდან ფოთლების ჩამოცვენას, ამინდის ცვალებადობას, ბალახების ამოსვლას...

დაიჭექებდა, ჩამოტყდებოდა ციდან მეხი, მე აკანკალებული მივეკვრებოდი ბებიას, ის მეტყოდა, – ნუ გეშინია, შენ ოთხივ კუთხით ჯვარი გწერია, – და აღარ მეშინოდა. ერთხელ, ჭალის ვენახში მიმავალნი, ის წინ მიდიოდა, მე უკან, – უცებ შეჩერდა და, თითქოს ურჩ, პატარა ბავშვს უწყრებაო, დაიძახა: – ადექი, წადი აქედან! რას დაწოლილხარ ზედ შუა ბილიკზე! მივუახლოვდი და დავინახე, რომ მძიმედ, თითქმის ნებივრად შეითრია ვეება რუხმა გველმა მაღალ ბალახებში კუდი...

მე იმ კეთილი გრძნეული ქალის საგანმგებლოდან ვარ. მისი ნებით ათრთოლებული ფოთლებიდან და ბალახებიდან მოვედი თქვენთან. უმჯობესია, ხელი არ მახლოთ და არ გამისინჯოთ უბე.



უდიდესი ალმასი იპოვეს

კანადურმა სამთო-მომპოვებელმა კომპანია Lucara Diamond-მა, მსოფლიოში სიდიდით მეორე ძვირფასი ქვა იპოვა ბოტსვანაში, „კაროვეს“ საბადოზე. ალმასი 2 492 კარატად არის შფასებული. მისი ამოღება სპეციალური, რენტგენის ტექნოლოგიით შეძლეს, რომელიც საშუალებას იძლევა, აღმოჩინონ და უვნებლად ამოიღონ მიწიდან დიდი ზომის ძვირფასი ქვები. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ადრე ამავე საბადოზე აღმოაჩინეს 1 758-კარატიანი ალმასი Sewelô და 1 109-კარატიანი – Lesedi La Rona. მსოფლიოში ყველაზე დიდი ზომის – 3 106-კარატიანი ალმასი, 1905 წელს, სამხრეთ აფრიკაში იპოვეს. მაშინ ქვა ცხრა ნაწილად დაჭრეს და ზოგი მათგანი ბრიტანეთის დედოფლის გვირგვინის მოსართავად გამოიყენეს.

პირველი „ფერარი“ 17 მილიონად გაიყიდა

Sotheby's-ს აუქციონზე, სულ პირველად აწყობილი Ferrari 250 GT California Spider გაიყიდა. 1960 წელს გამოშვებულ ავტომობილში ახალმა მფლობელმა 17.055 მილიონი დოლარი გადაიხადა. ასეთი მაღალი ფასი რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. 250-სერიის Ferrari ერთ-ერთი ყველაზე უფრო „საკულტოა“ და დიდად ფასობს კოლექციონერებში. ზუსტად ეს მოდელი სულ 56 ეგზემპლარად გამოვიდა. აუქციონზე გაყიდული კი მათგან პირველი იყო, რომელიც ააწყვეს. ავტომობილზე დაყენებული V12 ძრავი კი სულ სამ მათგანს ჰქონდა. გარდა ამისა, ავტომობილს იშვიათი ელემენტებიც აქვს – დაფარული ფარები და ქარხნული მყარი ზედა ნაწილი. ეს Ferrari რამდენიმე ცნობილ სარბოლო ტრასაზეა ნამყოფი, ვიდრე გაიყიდებოდა და მას აშშ-ში გადაიყვანდნენ. აღსანიშნავია, რომ აუქციონზე გარიგების თანხა ზუსტად დაემთხვა ექსპერტების წინასწარ შეფასებას – ისინი ავტომობილს ფასს 16-18 მილიონის ფარგლებში ვარაუდობდნენ.

აუქციონზე მრგვალი კვერცხი იყიდა

ინგლისელმა მამაკაცმა ედ პოუნოლმა 150 გირვანქა სტერლინგი გადაიხადა ქათმის კვერცხში, რომელიც უჩვეულოდ მრგვალი ფორმისაა. პონუოლი მიიჩნევს, რომ ხელსაყრელი შენაძენი გააკეთა. მან კვერცხი Thomson Robbick Callan-ის აუქციონზე შეიძინა, სადაც სპეციალისტებმა მისი იშვიათობა აღნიშნეს: მრგვალი კვერცხი მილიარდში ერთი შეიძლება შეგვხვდეს. შენაძენი ინგლისელს კურიერმა შოტლანდიიდან ჩაუტანა. ახალმა მფლობელმა აღიარა, რომ ჯერ არ იცის, რას გადაწყვეტს ამ უნიკალურ შენაძენთან დაკავშირებით.

უსახლკაროებს სახლები აუშენა

კანადელმა მილიონერმა, მარსელ ლებრუნმა მშობლიურ ქალაქ ფრედერიკტონში, უსახლკარობის დაძლევის მიზნით, 99 პატარა სახლი ააშენა. საამისოდ მან საკუთარი ბიუჯეტიდან 4 მილიონ დოლარზე მეტი გაიღო. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ლებრუნმა თავისი კომპანია რვანიშნა თანხად გაყიდა და გადაწყვიტა, ფულის ნაწილი ქალაქში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად დაეხარჯა. ქალაქში უსახლკარო ადამიანების პრობლემა შარშან გამწვავდა, როცა 1 800 ადამიანი დარჩა თავშესაფრის გარეშე. სწორედ ამიტომ, ლებრუნმა 12 სახლისგან შემდგარი, დახურული სამეზობლოები შექმნა. ახალ უბანში სულ 99 პატარა სახლია, სადაც ხალხი ცხოვრობს. სახლებში არის საძინებელი, სააბაზანო, მისაღები და მცირე აივნებიც. გარდა ამისა, დასახლებაში იგეგემება საზოგადოებრივი ცენტრის შექმნაც, სადაც სამეზობლოს წევრები დასაქმდებიან.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲢᲣᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ

პოპულარული ბრიტანული ჯგუფის – Coldplay-ის საკონცერტო ტური მუსიკალური ინდუსტრიის ისტორიაში ყველაზე შემოსავლიანი აღმოჩნდა. Billboard-ის მონაცემებით, ამ მუსიკულურმა კოლექტივმა რეკორდი დაამყარა შემოსავლებით. მათ კონცერტებზე სულ 8.8 მილიონი ბილეთი გაიყიდა, საერთო ჯამით – 945.7 მილიონი დოლარი. ჯგუფმა მოხსნა რეკორდი, რომელიც სერ ელტონ ჯონს ეკუთვნის. მან გამოსამშვიდობებელი ტურნეთი 939 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

ᲨᲝᲑᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲒᲖᲘᲗ

სამხრეთ კორეაში, სახელმწიფო ფინანსების ინსტიტუტის ანალიტიკოსებმა ანგარიში მოამზადეს, რომელშიც დაწყებით სკოლებში გოგონების შეყვანა, ბიჭებთან შედარებით, ერთი წლით ადრე არის შეთავაზებული. მიზანი ქვეყანაში დაბალი შობადობის გაუმჯობესებაა. „მამაკაცების განვითარების ტემპი უფრო ნელია, ვიდრე ქალების, ამიტომ თუ გოგონები სწავლას ერთი წლით ადრე დაიწყებენ, ეს პოტენციურად წაახალისებს მამაკაცებსა და ქალებს, რომ ერთმანეთისთვის უფრო მიმზიდველნი იყვნენ, როცა საქორწინო ასაკს მიაღწევენ“, – ნათქვამია ანალიტიკოსების მოხსენებაში.

გარდა ამისა, ანალიტიკოსები ახალი პროექტის დაწყების ინიციტივითაც გამოდიან, რომლის ფარგლებშიც შეხვედრები მოეწყობა, რათა „საპირისპირო სქესის მიმართ ადამიანების მიმზიდველობა გაიზარდოს“. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კორეაში შობადობის მაჩვენებელი მსოფლიოში ყველაზე დაბალია, დედაქალაქ სეულში კი – უფრო ნაკლები. ხელისუფლების პროგნოზით, 9.4-მილიონიან სეულში 2052 წლისთვის მოსახლეობა 7.2 მილიონამდე შემცირდება.

სიბერის საწინააღმდეგო წამალს ცდიან

ამერიკელი სწავლულები ძაღლებზე ცდიან პრეპარატს, რომელსაც დაბერების შენელება შეუძლია. წამალი, რომელიც კომპანია Telomir Pharmaceuticals-ისა და კლივლენდის კლინიკის სპეციალისტების მიერ შეიქმნა, უკვე წარმატებით გამოსცადეს ორ ასაკოვან ძაღლზე – გერმანულ ნაგაზზე, რომელსაც ტერმინალური სტადიის კიბო ჰქონდა და ართრიტით დაავადებულ ნიუფაუნდლენდზე. როგორც მათი პატრონები აცხადებენ, ორივე ცხოველის მდგომარეობა მოკლე ხანში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ახალი პრეპარატის წყალობით, ორგანიზმი იწყებს ღეროვანი უჯრედების წარმოქმნას და შეუძლია რეალურად გაახალგაზრდავდეს. ამჟამად, ცდები ათ ძაღლზე ტარდება. კვლევის შედეგები მომავალი წლის დასაწყისში გახდება ცნობილი. კლინიკური ცდებიც, შესაძლოა, 2025 წელს დაიწყოს.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

ასეთებად შვედეთის მოქალაქეები დასახელდნენ. გამოკითხული შვედებიდან, ყოველმა მეშვიდემ განაცხადა, რომ დაკავებულია ფიზიკური ვარჯიშებით. მხოლოდ 9%-მა აღიარა, რომ საერთოდ არ მისდევს სპორტს. შვედეთშივე დაფიქსირდა ადამიანების ყველაზე მეტი რაოდენობა, რომლებიც რეგულარულად დადიან ფიტნეს-ცენტრებში – 33%. შედარებისთვის, დანიაში მხოლოდ გამოკითხულთა 25%-მა განაცხადა, რომ ხშირად სტუმრობს სავარჯიშო დარბაზებს. ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სპორტში გაცილებით აქტიურები უფრო შვედი მამაკაცები არიან, ქალები კი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ფიზიკურ დატვირთვებს.

ქალაქში ცხოვრება სასარგებლოა ფსიქიკისთვის

ბევრი ადამიანისთვის სოფელში ცხოვრება გაიდეალებულია და ჩვეულებრივ, სუფთა ჰაერთან, ბუნებასთან სიახლოვესა და სიმშვიდესთან ასოცირდება. თუმცა, ამერიკელი სწავლულების ახალი კვლევები აქარწყლებს მითს ამ პასტორალზე. ექსპერტების თქმით, ქალაქის მცხოვრებლები, სოფლელებთან შედარებით, უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობით გამოირჩევიან. სპეციალისტებმა შეისწავლეს აშშ-ში, მოსახლეობაზე ჩატარებული ორი დიდი კვლევის მონაცემები და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სოფლის მცხოვრებნი უფრო ნერვიულები არიან, ნაკლებად კეთილსინდისიერები და გულღიები, ვიდრე ქალაქელები. მკვლევარები ანალიზს „დიდი ხუთეულის“ მოდელის მიხედვით აგებდნენ, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანის პიროვნება ხუთ საერთო და შედარებით დამოუკიდებელ თვისებას: ექსტრავერსიას, კეთილგანწყობას, კეთილსინდისიერებას, ნევროტიზმსა და გახსნილობას გამოცდილებისადმი. აღმოჩნდა, რომ ამერიკელებს, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ, ნევროტიზმის მაღალი დონე აქვთ, ვიდრე ქალაქელებს. მათი ვარაუდით, ამის მიზეზი შეიძლება სოფლად ფსიქოლოგიური დახმარების ნაკლებხელმისაწვდომობა იყოს.

ქალებს გვერდზე მჯდომის არჩევა შეეძლებათ

საინტერესო სიახლე შემოიღო ინდურმა ავიაკომპანიამ IndiGo. ავიარესიზე ბილეთის ყიდვისას, სუსტი სქესის წარმომადგენელს შეეძლება აირჩიოს, ვინ დაჯდეს მის გვერდით. კომპანიის განახლებული პოლიტიკის მიხედვით, ქალი შეძლებს, მგზავრების განთავსების გეგმის ნახვას. ადგილები, სადაც მანდილოსნები სხედან, ვარდისფერით არის გამორჩეული. მამაკაცებისთვის ასეთი სერვისი გათვალისწინებული არ არის. ასე რომ, თუკი ქალებს არასასურველი მეზობლის თავიდან არიდება მოუნდებათ, ყველაფერი შესაძლებელია.

პირველი ლუდი ფხვნილისგან

მიუნხენთან ახლოს მდებარე მონასტრულმა ლუდსახარშმა – Klosterbrauerei Neuzelle, მსოფლიოში პირველი, ფხვნილის ლუდი შექმნა. წყლის დამატებით ის ქაფდება და ნამდვილ ლუდის „ქუდს“ იკეთებს. სპეციალისტების თქმით, ამ ტექნოლოგიის წყალობით, ქარვისფერი სასმელის მიწოდების ღირებულება საგრძნობლად შემცირდება. ახალი პროდუქტის მისაღებად ლუდის მწარმოებლებმა სასმელი ტრადიციული ტექნოლოგიით მოხარშეს, მერე კი დაამუშავეს, რომ მისგან წყალში ხსნადი ფხვნილი მიეღოთ. პირველ ეტაპზე მწარმოებლებმა უალკოჰოლო ლუდი შექმნეს, თუმცა აპირებენ ექსპერიმენტების გაგრძელებას, რომ ფხვნილში ალკოჰოლის შენარჩუნებას მიაღწიონ.

ბიონსე ვისკის წარმოებას იწყებს

ამერიკელმა პოპ-მომღერალმა, გრემის 32-გზის გამარჯვებულმა ბიონსემ საკუთარი ბიზნეს-წამოწყება წარადგინა. ეს არის ძვირადღირებული ვისკი, რომელიც შთაგონებულია მისი დიდი ბაბუის მიერ – ის „მშრალ კანონს“ არ ემორჩილებოდა. ბრენდი Beyoncé-სა და Moët Hennessy-ის ერთობლივი წარმოებაა ლუქს-კონგლომერატის, LVMH-ის სასმელების განყოფილებაში, რომელიც ათობით ბრენდს, მათ შორის, Dom Pérignon-საც ფლობს. ახალ სასმელს მომღერალმა ბაბუის – დევის ჰოგის პატივსაცემად, SirDavis უწოდა. სასმელის წარმოების გარდა, ბიონსეს ბიზნეს-იმპერია ბოლო 9 თვის განმავლობაში გაფართოვდა – სუნამოსა და თმის მოვლის პროდუქტების ხაზით. 42 წლის მომღერალი ასევე მართავს Parkwood Entertainment-ის საპროდიუსერო სახლსაც.

ბებიას ტატუ გაუკეთეს

ერთმა ოჯახმა ჩინეთიდან, 80 წლის ბებიას, რომ არ დაკარგულიყო, ტატუ გაუკეთა. ხანდაზმული ქალი ტატუ-სალონში საკუთარი ოჯახის წევრებმა მიიყვანეს. აღმოჩნდა, რომ მოხუცს ასაკობრივი დემენციის მძიმე ფორმა აქვს და ის უკვე არაერთხელ დაიკარგა. ამის გამო, შვილებმა გადაწყვიტეს, მას ხელზე ტატუ გაუკეთონ. ხელის ზურგზე ბებიას დააწერეს: „დაკარგვის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერებზე“ და ვაჟის, ქალიშვილისა და შვილიშვილის ნომრები მიუთითეს. მოხუცს ეშინოდა ტკივილის, მაგრამ ახლობლების გამო, ის მოთმინებით იტანდა, – ამბობს ტატუს ოსტატი. ამ ფაქტმა ჩინურ სოციალურ ქსელში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, ზოგმა შვილები გააკრიტიკა, ბევრმა კი გადაწყვეტილება მოიწონა, ბებია ტატუს ვერსად დაკარგავსო.

რამდენი სურნელს არჩევს ადამიანი?

ამერიკელმა ბიოლოგებმა ადამიანის ცხვირის მგრძნობელობის შეფასების უნიკალური სისტემა შექმნეს. ამისთვის ექსპერტებმა „შემადგენელი“ არომატული ნარევები გამოიყენეს, რომელიც ექსპერიმენტისას, იმის გარკვევაში დაეხმარათ, რომ ყნოსვის ორგანოს ტრილიონზე მეტი სურნელის გარჩევა შეუძლია. მეთოდიკა კი შემდგომშია: პირველ ეტაპზე, სწავლულებმა გამოჰყვეს 128 მოლეკულა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადვილად გასარკვევ და დამახასიათებელ სუნებზე, როგორებიცაა ანისი, პიტნა და სხვა მსგავსი. მას შემდეგ, რაც საკმაო რაოდენობის ინგრედიენტები შეაგროვეს, სპეციალისტებმა ისინი სხვადასხვა პროპორციებით შეურიეს და ამ გზით რამდენიმე ასეული „უნიკალური“ ნარევი მიიღეს. კვლევის მეორე ეტაპზე, მოხალისეებს სამი ჭურჭლიდან აძლევდნენ ნაკრებს დასაყნოსად, სადაც ორი იდენტური არომატული ნარევი იყო, ერთი კი – მოლეკულების განსხვავებული ნაკრები. ბიოლოგები იმის გარკვევას ცდილობდნენ, ადამიანის ცხვირი რა მომენტში ვერ შეძლებდა სურნელის გარჩევას. აღსანიშნავია, რომ მოხალისეები წარმატებით პოულობდნენ განსხვავებას. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ყნოსვის ორგანოს ტრილიონზე მეტი სხვადასხვა სუნის გარჩევა შეუძლია. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უნარი, მოახდინოს სურნელების იდენტიფიცირება, დამოკიდებულია მისი ცხოვრების წესზე. ცნობილი პარფიუმერი ვერასდროს გახდებით, თუკი მოწევის მავნე ჩვევა გახასიათებთ.

მავნე საკვები ტვინს აპატარავებს

ის ადამიანები, რომლებიც რეგულარულად არაჯანსაღი საკვებით იკვებებიან, როგორიც მაგალითად, ტკბილი სასმელები, მარილიანი წასახემსებელი, ან გადამუშავებული ხორცია, ჰიპოკამპის ანუ ტვინის იმ ნაწილის გაცილებით მცირე მოცულობა შეიძლება ჰქონდეთ, რომელიც სწავლას, მეხსიერებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას უკავშირდება. ასეთ დასკვნას ავსტრალიელი სწავლულები აკეთებენ. კვლევებისას, მათ 60-დან 64 წლამდე ასაკოვან ადამიანს სპეციალურად გაუზომეს ჰიპოკამპის მოცულობა, რის შემდეგაც დადგინდა, რომ ადამიანებს, რომელთა რაციონშიც რეგულარულად ჩართულია მავნე პროდუქტები, ტვინის ამ ნაწილის შედარებით მცირე მოცულობა აღენიშნებოდათ მათთან შედარებით, რომლებიც უფრო სასარგებლო პროდუქტებს მიირთმევდნენ – ბოსტნეულს, ხილს, თევზს. იმის მიუხედავად, რომ კვლევა 60 წელს გადაცილებულ ადამიანებზე ჩატარდა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მიღებული შედეგები აქტუალურია ნებისმიერი ასაკისთვის, მათ შორის, ბავშვებისთვისაც. იმის გათვალისწინებით, რომ ჰიპოკამპი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლისა და მეხსიერების პროცესებში, მთელი ცხოვრების განმავლობაში და ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობასაც უკავშირდება, ეს კვლევა ყველა ასაკში სწორი კვების აუცილებლობაზე მიგვითითებს.

სათვალე-შპარგალკა პაემნებისთვის

სამმა სტუდენტმა, სტენფორდიდან, შექმნა მოწყობილობა, რომელიც გიკარნახებთ, რა ილაპარაკოთ პაემნებზე, ან გასაუბრებებზე. გარეგნულად ის ჩვეულებრივი ლინზაა, რომელიც შეგიძლიათ, ნებისმიერ სათვალეში ჩასვათ. საიდუმლო კი მასში ჩამონტაჟებულ ნეიროქსელშია, რომელიც ისმენს და აანალიზებს საუბრებს რეალურ დროში და მაშინვე გამოაქვს თვალწინ პასუხის, მისი აზრით, საუკეთესო ვარიანტი. შედეგად, მომხმარებელი უბრალოდ კითხულობს ამ რეპლიკას „ტელესუფლიორიდან“. რამდენად რთული საუბრების წარმოება შეუძლია ნეიროქსელს, უცნობია. ავტორები დარწმუნებულები არიან, რომ ასეთი გაჯეტი გამოადგებათ სოციოფობიის მქონე ადამიანებს, ან მათ, რომლებიც ძალიან ღელავენ საჯარო გამოსვლებისას, ან სამსახურში მიღებისას.

სპრეი ვიაგრას ნაცვლად

ავსტრალიელმა სწავლულებმა ბიოკომპანია LTR Pharma-დან, ერექტილური დისფუნქციის სამკურნალოდ ცხვირის სპრეი შექმნეს. ის ათჯერ უფრო სწრაფად მოქმედებს, ვიდრე ვიაგრა. პრეპარატი ფარმაცევტულ ბაზარზე გასაყიდად 2025 წელს გამოვა, თუკი მასშტაბური კვლევები წარმატებული აღმოჩნდება. აღსანიშნავია, რომ ვიაგრა ერექციას სასქესო ორგანოში კუნთოვანი კედლების მოშვების წყალობით იწვევს. ეფექტი პრეპარატის მიღებიდან ერთი საათის შემდეგ დგება. ამის გამო, მამაკაცებს უწევთ, ეს აბი წინასწარ მიიღონ. სპრეი SPONTAN კი საშუალებას იძლევა, მამაკაცი მზად იყოს დაუგეგმავი სექსისთვისაც, რადგან პრეპარატი მოქმედებას მიღებიდან 5-15 წუთში იწყებს.

ნაყინი ციცინათელებით

გერმანიაში, ქალაქ როტენბურგში მდებარე კაფე-სანაყინე – Eiscafe Rino, თავისი უჩვეულო, ინოვაციური მენიუთი არის ცნობილი. დაწესებულება, ამჯერად, კლიენტებს ნაყინს სთავაზობს, რომელსაც ციცინათელების გემო აქვს. კაფეს მფლობელის, ტომას მიკოლინოს თქმით, სინამდვილეში, ცივი დესერტი ციცინთელებისგან მიღებული ფქვილით არის დამზადებული, რომელსაც ცხიმიანი ნაღები, ვანილის ექსტრაქტი და თაფლი ემატება. გარდა ამისა, მზა ნაყინს დელიკატესად თავზე მშრალი მწერიც აქვს წამოსკუპებული. ამ უჩვეულო, ცივმა ტკბილეულმა ბევრი კრიტიკაც დაიმსახურა, მაგრამ გაბედული მომხმარებლებიც საკმაოდ აღმოჩნდნენ, რომლებსაც ახალი ნაყინის გასინჯვა მოუნდათ და კმაყოფილებიც დარჩნენ.

ნაყინი საუზმისთვის

იაპონურმა საკონდიტრო კომპანიამ – Takeshita Seika, რომელსაც არსებობის საუკუნოვანი ისტორია აქვს, უთვალავი რაოდენობის ტკბილეული შექმნა. წელს, ამ კომპანიის სიახლეებში ნაყინი გაჩნდა, რომელიც სპეციალურად საუზმისთვის შეიქმნა. კონდიტერები, ამომავალი მზის ქვეყნიდან, გვთავაზობენ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკვების მიღების პროცესი ბევრად უფრო გემრიელადაც ვაქციოთ. საამისოდ, მათ მოხალული გრანოლა (მასალა ფაფისთვის, რომელიც შვრიის ფანტელს, ნიგოზსა და თაფლს შეიცავს), ვაშლის ჩირი და ქიშმიში ვანილის ნაყინში მოათავსეს. ფაქტობრივად, ტრადიციული, ევროპული საუზმეა, მხოლოდ ტემპერატურა უფრო დაბალია და ფორმაც შეცვლილი აქვს, რადგან საუზმე ჯოხზე წამოცმულ ნაყინად გადაიქცა. როგორც ჩანს, ახლა იაპონელ ბავშვებს საუზმის ჭამაზე დიდი თხოვნა არ დასჭირდებათ და დამატებასაც მოითხოვენ.

მოზარდებს ფსიქოლოგების ფულს გადაუხდიან

ახალი ზელანდიის სოციალური განვითარების სამინისტრო ფსიქოლოგების სამუშაოს აანაზღაურებს, რათა დაეხმაროს მოზარდებს, განშორება ადვილად გადაიტანონ და მინიმუმადე დაიყვანონ ნეგატივი ურთიერთობებში. 1200-ზე მეტმა ახალგაზრდა ადამიანმა მოგვმართა დახმარებისთვის, ადრეულ ასაკში სიყვარულისა და ტკივილის გადატანისთვის, – განაცხადეს ჩინოვნიკებმა. კამპანია სლოგანით – „მართე გრძნობები“ მიმდინარეობს. გახსნილია სპეციალური ცხელი ხაზი 12-დან 24 წლამდე ახალგაზრდებისთვის, რომელთაც განშორება გადაიტანეს. დამხმარე ორგანიზაციები ამ პროექტის განსახორციელებლად 4 მილიონ დოლარს მიიღებენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.